ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

# ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲒᲐᲫᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 141 (19882) ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ, 19 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ, 1987 ᲬᲔᲚᲘ. ◆ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐᲞ.


# ᲡᲙᲙᲨ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

## ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲬᲘᲡᲠᲘᲒᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲐᲨᲘ ᲡᲐᲞᲠᲝᲙᲣᲠᲝᲠᲝ ᲖᲔᲓᲐᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲠᲝᲚᲘᲡ ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

**ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲣᲙᲕᲔ ᲕᲘᲣᲬᲧᲔᲑᲘᲗ, 1987 ᲬᲚᲘᲡ 4 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲡᲙᲙᲨ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲛᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲛᲐ ᲛᲘᲙᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘᲗ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ „ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲬᲘᲡᲠᲘᲒᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲐᲨᲘ ᲡᲐᲞᲠᲝᲙᲣᲠᲝᲠᲝ ᲖᲔᲓᲐᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲠᲝᲚᲘᲡ ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“.**

დადგენილებაში ნათქვამია, რომ სსრ კავშირის პროკურატურას უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია სახელმწიფო ორგანოების სისტემაში, რომლებიც მოწოდებული არიან დაიცვან კანონიერება და მართლწესრიგი ჩვენს ქვეყანაში. მაგრამ 70-იანი წლების მანძილზე და 80-იანი წლების დამდეგს საზოგადოებაში ნეგატიური ტენდენციების გაძლიერების ვითარებაში სსრ კავშირის პროკურატურამ და მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა ვერ შეძლეს სრულად უზრუნველეყოთ დაკისრებული ფუნქციების შესრულება. სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, თანამდებობის პირებისა და მოქალაქეთა მიერ კანონების ზუსტი და ერთგვაროვანი შესრულებისადმი უმაღლესი ზედამხედველობა შესუსტებული აღმოჩნდა, ყოველთვის ვერ უმკლავდებოდა მოვლენებს, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა საზოგადოების, სოციალისტური ცხოვრების წესის ინტერესებს. პროკურატურის მუშაკთა ნაწილი თმობდა კანონიერების პრინციპულ პოზიციებს, აჰყვა ადგილობრივი გავლენის მოთხოვნებს და ვიწროუწყვებრივ ინტერესებს. ყოველთვის დროულად როდი აღკვეთდნენ სოციალისტური ქონების დიდძალ დატაცებას, მექრთამეობას, წამატებებსა და თვალისახვევას, რომელშიც ჩათრეული იყვნენ ადამიანთა დიდი ჯგუფები, მათ შორის, პასუხისმგებელი თანამდებობის პირნი. დაქვეითდა ეკონომიკის სფეროში კანონების დაცვისადმი ზედამხედველობის დონე, ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობოდა მოქალაქეთა უფლებებისა და ინტერესების დაცვას, სამართლებრივი ნორმების განუხრელ შესრულებას თვით სამართალდამცველი ორგანოების, შრომა-გასწორების დაწესებულებების საქმიანობაში. ცალკეულ დანაშაულობათა გახსნას გადაყოლილი პროკურორები სულ უფრო ნაკლებად აზდენდნენ გავლენას უკანონობისა და სამართალდარღვევების წარმომშობი მიზეზების აღმოფხვრაზე.

ზოგიერთი ადგილობრივი პარტიული კომიტეტი, ნაცვლად იმისა, რომ კონტროლი და დახმარება გაეწია პროკურატურაში მომუშავე კომუნისტებისათვის, არ უთმობდა საკმარის ყურადღებას მათს საქმიანობაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრას, უშვებდა ადმინისტრირებას და გაუმართლებელ ჩარევას პროკურორთა ფუნქციებში.

თანამედროვე პირობებში, როდესაც ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმისა და პარტიის XXVII ყრილობის შემდეგ ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს ძირეული გარდაქმნა დაიწყო, პროკურატურის მუშაობაში ჯერ კიდევ შემორჩენილია ყაღლასული ტენდენციები, ნელა იცვლება საქმეთა მდგომარეობა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში, უკანა პლანზე რჩება ზოგადი ზედამხედველობა კანონების შესრულებისადმი. პროკურატურის ორგანოები ჯერ კიდევ სრულად როდი იყენებენ მინიჭებულ უფლებამოსილებას იმისათვის, რომ განამტკიცონ დისციპლინა, აამაღლონ ორგანიზებულობისა და წესრიგის დონე, გაძლიერონ საბჭოთა მოქალაქეების უფლებების დაცვა, დაამკვიდრონ სოციალური სამართლიანობის პრინციპები. სუსტად ხორციელდება სამართალდამცველი ორგანოების საქმიანობის კოორდინაცია სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში. პროკურატურის ცალკეული მუშაკები ხშირად თვითონ უშვებენ სოციალისტური კანონიერების უხეშ დარღვევებს.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია ძირფესვიანად გარდაიქმნას სსრ კავშირის პროკურატურა და მისი კოლეგიის, ადგილობრივი საპროკურორო ორგანოების მუშაობა, ამასთან უზრუნველყოფილ იქნეს მათი საქმიანობის სტილის, ფორმებისა და მეთოდების გადამწყვეტი გაუჯობესება, რათა პროკურატურა მტკიცედ იდგეს საბჭოთა კანონების სადარაჯოზე; ყველა შემთხვევაში, როცა კი საქმე ეხება სახელმწიფო ინტერესებისა და მშრომელთა უფლებების დაცვას, მოქმედებდეს ინიციატივიანად, პრინციპულად და გაბედულად, სულ უფრო აქტიურად იბრძოდეს სამართალდარღვევებისა და დამნაშავეობის აღსაკვეთად, აძლიერებდეს საპროკურორო ზედამხედველობის პროფილაქტიკურ მიზანმიმართულებას. პროკურატურის ორგანოები მოვალენი არიან მაქსიმალურად გამოიყენონ მათს განკარგულებაში არსებული სამართლებრივი ბერკეტები ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, სოციალისტური დემოკრატიის გაფართოების, საბჭოთა დადამნეების აქტიურობის მაქსიმალური გაძლიერების ამოცანების წარმატებით განხორციელების ინტერესებისათვის, ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც ხელს უშლის ჩვენი საზოგადოების წინსვლა-განვითარებას. თავის საქმიანობას პროკურატურა უნდა აწარცელებდეს მაქსიმალური საჯაროობის პირობებში, ეყრდნობოდეს შრომითს კოლექტივებს და ფართო საზოგადოებრიობას, გაბედულად და მტკიცედ იცავდეს საბჭოთა კანონებს, სოციალისტური ცხოვრების წესის მოთხოვნებსა და ნორმებს.

დადგენილებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ პროკურატურის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა გადაიტანოს თავის მუშაობაში სიმძიმის ცენტრი ზედამხედველობაზე მართვა-გამგეობის ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ კანონების შესრულებისადმი, ყოველნაირად განამტკიცოს კანონიერება საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში. პროკურატურის ძირითადი ყურადღება უნდა დაეთმოს ქმედითი ზედამხედველობის განხორციელებას იმისადმი, თუ როგორ ასრულებენ უწყება-სამინისტროთა, საწარმო-ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, სხვა თანამდებობის პირნი მინდობილ სამუშაო უბანზე კანონების დასაცავად დაკისრებულ მოვალეობას, გაუწიონ მათ საჭირო დახმარება ამ საქმეში, დროულად გამოაკლინონ და აღკვეთონ კანონიერების დარღვევები. ამასთან დაკავშირებით საჭიროდ არის მიჩნეული მიენიჭოთ პროკურატურის ორგანოებს დამატებითი უფლებამოსილება, მიეცეთ პროკურორებს უფლება გამოიტანონ შესასრულებლად სავალდებულო ბრძანებები კანონის აშკარა დარღვევათა დაუყოვნებლივ აღმოსაფხვრელად, შეიჭრონ გაპროტესტებული უკანონო სამართლებრივი აქტების მოქმედება, აგრეთვე დაავალონ სამეურნეო მმართველობის ორგანოებს შეამოწმონ, თუ როგორ იცავენ კანონებს დაქვემდებარებული საწარმოები, ორგანიზაციები და თანამდებობის პირნი.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ პროკურატურის ორგანოები მოვალენი არიან სისტემატურად მიაწოდონ ინფორმაცია სახალხო დეპუტატთა საბჭოებს, მათს აღმასრულებელსა და განმკარგულებელ ორგანოებს კანონიერების მდგომარეობისა და მისი განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ, აქტიური მონაწილეობა მიიღონ მართვა-გამგეობის კოლეგიური ორგანოების მუშაობაში, იღვაწონ სოციალისტური კანონიერების გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, პროკურორებმა უფრო აქტიურად უნდა გამოიყენონ სამართლებრივი საშუალებანი, რათა საიმედოდ დაიცვან სოციალისტური საკუთრება, ყოველნაირად განამტკიცონ საგეგმო და სახელშეკრულებო დისციპლინა, მომჭირნეობის რეჟიმი, გაუმჯობესდეს პროდუქციის ხარისხი, დადგენილი წესით მისცენ ბრალეული პირნი მატერიალურ, დისციპლინურ, ადმინისტრაციულ ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

საჭიროდ არის მიჩნეული უზრუნველყოფილ იქნეს იმ მუშაობის დონის განუხრელი ამაღლება, რომელსაც პროკურატურა ეწევა მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაგად, ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ საბჭოთა ადამიანისათვის ზრუნვა, კანონის წინაშე ყველას თანასწორობის უზრუნველყოფა, მოქალაქეთა უფლებების შეფილახვი მოქმედების აღკვეთა, მშრომელთა საჩივარ-განცხადებებისა და წინადადებების განხილვისადმი ყურადღებიანი დამოკიდებულება პროკურატურის ყველა მუშაკის მოქალაქეობრივი და პროფესიული ვალია. საბჭოთა პროკურორები მოწოდებული არიან შეუპოვრად ებრძოლონ ადამიანთა ბედისადმი უსულგულო დამოკიდებულების ფაქტებს, ბიუროკრატიზმის და უწყებრიობის გამოვლინებებს, კრიტიკის ჩაზობის შემთხვევებს, ყოველივე იმის, რაც აბრკოლებს ჩვენი საზოგადოების გარდაქმნასა და ზნეობრივ გაჯანსაღებას. ამასთან ყოველად დაუშვებელია კანონიერების დარღვევები თვით პროკურატურის მუშაკთა მიერ, მათი მხრივ მიკერძოების და თვითნებობის გამოჩენა საქმეთა გამოძიებისას, აგრეთვე მოქალაქეთა წერილებისა და სხვა მომართვების არაობიექტური განხილვა. მოქალაქეთა უფლებების გარანტიების გაძლიერებლად და სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების გაუმჯობესებლად მიზანშეწონილად არის მიჩნეული შესწავლილ იქნეს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ადვოკატთა მონაწილეობის გაფართოებასთან გამოძიების უფრო ადრეულ სტადიებში.

სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს, სსრ კავშირის პროკურატურის კოლეგიასა და პარტკომს რჩევა მიეცათ განახორციელონ დამატებითი ღონისძიებები პროკურატურის ორგანოების კადრების შერჩევის, განაწილების, პროფესიული მომზადებისა და აღზრდის ძირეული გაუმჯობესებისათვის. ამასთან დაკავშირებით განხორციელდეს პროკურატურის ორგანოების კადრების გადამზადება, უპირველესი ყურადღება დაეთმოს მათ მიერ კონკრეტული ეკონომიკის, მართვა-გამგეობისა და მეურნეობის გაძღოლის თანამედროვე მეთოდების შესწავლას, აგრეთვე რეორგანიზებული იქნეს პროკურატურაში მოქმედი პროკურორო-გამომძიებელი მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლების სისტემა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, აღნიშნულია დადგენილებაში, იმით ხელმძღვანელობს, რომ პროკურატურაში შეიძლება მუშაობდნენ მხოლოდ პოლიტიკურად მოწიფული, პრინციპული, უანგარო, კომპეტენტური და კეთილსინდისიერი ადამიანები. ყოველი პროკურორო-გამომძიებელი მუშაკი თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მოწოდებულია მოქმედებდეს ზუსტად კანონის, სოციალისტური ჰუმანიზმის ფარგლებში, იჩენდეს კეთილმოსურნეობას, გულისხმიერებასა და ყურადღებას ადამიანების მიმართ. ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის გენერალურ პროკურორსა და მოკავშირე რესპუბლიკების პროკურორებს წინადადება მიეცათ განსაკუთრებული ყურადღ ებ ა დაუთმონ პროკურორთა კადრების შერჩევასა და აღზრდას, გამოიყენონ პროკურორო-გამომძიებელთა ატესტაცია კადრების ქმედითი რეზერვის შესაქმნელად, უფროსების მოვლენების დასაძლევად, შემდგომ მუშაობაში ნაკლოვანებათა გასაკრიტიკებლად და აღმოსაფხვრელად.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა, პარტიის სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა უნდა აამაღლონ პროკურატურის ორგანოების პოლიტიკური ხელმძღვანელობის დონე, გაუწიონ მათ საჭირო დახმარება და მხარდაჭერა მუშაობაში. უზრუნველყონ პროკურატურის ორგანოების მჭიდრო კავშირი მშრომელთა კოლექტივებთან და მოსახლეობასთან. უფრო აქტიურად წარმართონ მუშაობა პროკურატურის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებთან, გაზარდონ მათი როლი პროკურატურის ორგანოების საქმიანობის გარდაქმნაში, გაძლიერონ მომთხოვნელობა ამ საქმეში კომუნისტების მიმართ. გაზარდონ პარტიული კომიტეტების პასუხისმგებლობა პროკურატურის კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდისათვის. რესპუბლიკებსა და ოლქებში, სადაც მრავალეროვანი მოსახლეობაა, შესაბამისი პროკურატურების კადრების დაკომპლექტებისას გაითვალისწინონ დასაწინაურებელ მუშაკთა პროფესიული ვარგისიანობა და ეროვნული კუთვნილება.

პარტიული ორგანოები, ხაზგასმით არის აღნიშნული დადგენილებაში, მოვალენი არიან უზრუნველყონ პროკურატურის დამოუკიდებლობის ლენინური პრინციპების განუხრელი განხორციელება, აღკვეთონ ყოველგვარი ისეთი ცდა, როდესაც ლამობენ გავლენა მოახდინონ პროკურორებზე მათ კომპეტენციაში შემავალი საკითხების გამო გადაწყვეტილებათა მიღებისას, ჩაერიონენ სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებაში; მკაცრად მოჰკითხონ ხელმძღვანელებსა და სხვა თანამდებობის პირებს, რომლებიც არიღებენ სასწრაფო ღონისძიებებს პროკურატურის მიერ გამოვლენილი კანონიერების დარღვევების აღსაკვეთად და მოქალაქეებისა და ორგანიზაციების შელახულ უფლებათა აღსადგენად.

სსრ კავშირის სახტელერადიოს, სსრ კავშირის გამსახურმს, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს რჩევა მიეცათ გააუმჯობესონ სოციალისტური კანონიერების ლენინური პრინციპების პროპაგანდა, აამაღლონ მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში მართლწესრიგის განმტკიცების აქტუალური პრობლემების გაშუქების დონე, აქტიურად დაიცვან საბჭოთა მოქალაქეების უფლებები და ინტერესები, ხელი შეუწყონ საზოგადოებრივი აზრის სწორ ფორმირებას, მტკიცედ დაიცვან პუბლიკაციების უტყუარობა, მეტი ყურადღება დაუთმონ საბჭოთა კანონმდებლობის, ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებების წინააღმდეგ ბრძოლის დადებითი გამოცდილების პროპაგანდას.

## ᲩᲐᲘ — 87

### ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲒᲐᲪ, ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲗ!..

**ᲐᲕᲓᲠᲘᲡ გამო დაგვიანებით დაიწყეს კრეფა ზუგდიდის რაიონის მეჩაიეებმა, მაგრამ მონდომებით, აქტიურობით მათ ივნისის პირველი დეკადის ბოლოს მოკრეფილი ფოთლის შარშანდელ ოდენობას გადაამტეტეს. სოფელ ჭიხაშკარის მეჩაიეებმა მიაღწიეს იმას, რომ რაოდენობასთან ერთად ნედლეულის ხარისხიც ჩინებულია. ისინი ერთგულად შრომობენ და კარგ შედეგებსაც აღწევენ. მოსავალი გადასამუშავებლად ზუსტად დადგენილი გრაფიკის შესაბამისად მიაქვთ ფაბრიკაში.**

**ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფაში მოწინავეობენ ემა გეთია, გულნაზი შენგელია, კლარა კირტაძე, ლუსია ფირცხალავა, ჯულიეტა ხაბურნანია და სხვა კოლმეურნეები.**

**ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ: მოწინავე მეჩაიე ემა გეთია. შარშან მან ექვსი ტონა ფოთლი მოკრიფა, წლევანდელ სეზონში კი შვიდ ტონამდე ხარისხოვანი ფოთლის მოკრეფა გადაწყვიტა. ვალდებულების შესასრულებლად ენერგიულად შრომობს მეჩაიე, დღეში ორმაგად ასრულებს დღიურ დავალებას.**

**ᲤᲗ. ᲡᲐᲛᲡᲝᲜᲘᲐᲡ და Ბ. ᲨᲐᲠᲐᲨᲕᲘᲜᲘᲫᲘᲡ ფოტო. (საქინფორმის ფოტოჭრონიკა).**

## ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲠᲣᲜᲕᲘᲗ

**ᲨᲔᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ** საამქროს ძირეული განახლების პროგრამა განიხილეს სსრ კავშირის არქიტექტორთა VIII ყრილობის მონაწილეებმა, რომელმაც 18 ივნისს მუშაობა დაამთავრა მოსკოვში. ყრილობის დელეგატებმა კრიტიკული შეფასება მისცეს ხუთოთომეულის მდგომარეობას და განაცხადეს, რომ უადრესად არიან შეწუხებული მის განვითარებაში არსებული ნაკლოვანებებით. დასახეს არქიტექტურის იდეოლოგიური და სოციალური მნიშვნელობის, ხუთოთომეულთან პროფესიული ოსტატობის ამაღლების გზები.

ყრილობამ დამაკმაყოფილებლად მიიჩნია საანგარიშო პერიოდში სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის გამგეობის მუშაობა, დამატებით შემოქმედებითი კავშირის ცენტრალური სარევიზიო კომისიის მოხსენება. დელეგატებმა აირჩიეს სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის გამგეობისა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა.

ყრილობის დელეგატებმა დაამტკიცეს სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის წესდების ახალი რედაქცია.

ყრილობაზე მიიღეს საბჭოთა არქიტექტორების მიმართვა მსოფლიოს ყველა არქიტექტორისადმი. (ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ** კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ 17 ივნისს გამართულ სხდომაზე განიხილა საკითხი საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხუთი თვის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგებისა და ივნისისა და 1987 წლის პირველი ნახევრის დავალებათა უფუო რეალიზაციის ამოცანების შესახებ.

აღინიშნა რა რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურულ განვითარებაში მიღწეული გარკვეული წარმატებანი, ცენტრალური კომიტეტის ბიურომ საგანგებოდ აღნიშნა, რომ სახალხო მეურნეობის დარგების განვითარებაში მოქცეული არ არის წარმოების ზრდისა და მისი ეფექტიანობის გადიდების ყველა რეზერვი, მთელი რიგი სამინისტროები, უწყებები, გაერთიანებები და საწარმოები ნელა გარდაქმნიან თავიანთ მუშაობას, აქვთ არსებითი ნაკლოვანებანი და ხარვეზები. პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების უმნიშვნელოვანეს ამოცანებად არის მიჩნეული 1987 წლის პირველი ნახევრის შედეგების მიხედვით სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპი უზრუნველყონ არანაკლებ წლიური დავალებისა, ესე იგი 103,7 პროცენტით, დაჩქარონ სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადებისა და გადამუშავების ტემპი, შექმნან მტკიცე საკვები ბაზა, ძირეულად გაუმჯობესონ სამშენებლო კომპლექსური მუშაობა, განამტკიცონ სახელშეკრულებო, შრომისა და ფინანსური დისციპლინა. ამ მიზნით პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, სამინისტროებს, უწყებებს, გაერთიანებებსა და საწარმოებს დაევალათ ფართოდ გაშალონ ორგანიზატორულ-პოლიტიკური და ეკონომიკური მუშაობა, რომლის მიზანია არსებული საწარმოო პოტენციალის უფრო სრულად გამოყენება, განახორციელონ საჭირო ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს საგეგმო დავალებისა და სოციალისტური ვალდებულებების უფუო შესრულებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა საკითხი, თუ რა ღონისძიებანი ხორციელდება 1987 წლის მარტის შემდეგ მომხდარი იმ სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციისათვის, რომელმაც მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას. დასახულია ამ მიმართულებით სამუშაოთა დაჩქარების კონკრეტული ღონისძიებანი.

განიხილეს საკითხი, თუ როგორ მუშაობენ პარტიის წულუკიძის რაიკომი და სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომი საბჭოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომი სრულყოფისა და ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის მათი როლისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ დირექტიული ორგანოების დადგენილებათა მიხედვით. ამ საკითხზე მიღებული დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდება.

განიხილეს „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევისა და ამ მუშაობის გააქტიურების თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების რეალიზაციის ღონისძიებათა საკითხი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ, რომელმაც დაამტკიცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის აღნიშნული დადგენილების მოთხოვნათა რეალიზაციის ღონისძიებების გეგმა, მოსთხოვა პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანოებს, შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს, საწარმოებისა და დაწესებულებების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების, აგრეთვე პროფტექნიკური განათლების სისტემის, ადმინისტრაციული ორგანოებისა და სამედიცინო დაწესებულებების პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს თავიანთი ამოცანები განიხილონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნათა მიხედვით, შეიმუშაონ და განახორციელონ პრაქტიკული ღონისძიებანი, რათა გააძლიერონ ბრძოლა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ, უზრუნველყონ მისი კომპლექსურობა, ერთმანეთის შეუხამონ ორგანიზაციული, აღმზრდელობითი, სამედიცინო და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ღონისძიებანი, გაზარდონ მომთხოვნელობა კომუნისტებისა და უპარტიოების მიმართ და გაძლიერონ მათი პერსონალური პასუხისმგებლობა ფეხზეული ცხოვრების წესის ნორმების დაცვისათვის, დარღვევის თითოეულ ფაქტს მისცენ მკაცრი პარტიული შეფასება, მოაწყონ მათ შესახებ პრინციპული მსჯელობა კოლექტივებში, ამასთან გაითვალისწინონ კანონდან გამომდინარე ზემოქმედებისა და დასჯის ღონისძიებანი.

განიხილა რა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი წალკის რაიონის სოციალური და ეკონომიკური განვითარების თაობაზე, ცენტრალური კომიტეტის ბიურომ დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია აღნიშნულ დადგენილებათა მოთხოვნების უფუო რეალიზაცია.

ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მოისმინა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის გ. ა. ანჩაბაძის ინფორმაცია სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებისა და მომსახურების სფეროს განვითარების საკითხებზე. სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართული საკავშირო თათბირის შედეგების შესახებ. აღნიშნა რა, რომ საქართველოს სს რესპუბლიკა თათბირზე სამართლიანად გააკრიტიკეს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ შეუწყნარებლად ცხო სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების

# ᲓᲠᲛᲐ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲗ

**ᲠᲝᲒᲝᲠᲪ** დათქვეს, თვის დამდეგს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკთა თათბირზე, შრომითს კოლექტივებთან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ი. კ. ლიგაჩოვის შეხვედრების დროს, ჩვენს რესპუბლიკაში ჩამოდიან საკავშირო სამინისტროების, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის უწყებების ხელმძღვანელები. ისინი ეცნობიან საქმის ვითარებას საწარმოებში, მეურნეობებში, ორგანიზაციებში, ბევრ მტკივნეულ საკითხს წყვეტენ ადგილზე. ნაწილი განსახილველად მიაქვთ საკავშირო ხელმძღვანელ ორგანოებში, ითვალისწინებენ სპეციალურ გადაწყვეტილებებს მათ შესახებ, რომ რესპუბლიკას კონკრეტული დახმარება გაეწიონ ნაკლოვანებებისა და სიძნელეების დაძლევაში, ეკონომიკის შემდგომ განვითარებაში.

15 და 16 ივნისს საქართველოში იყვნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. დ. მასლიუკოვი, სსრ კავშირის კავშირგაბმულობის საშუალებათა მრეწველობის მინისტრი ე. კ. პერვიშინი, სსრ კავშირის საავიაციო მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილე ა. ნ. გერაშენკო, სსრ კავშირის ელექტრონული მრეწველობის მინისტრის მოადგილე ე. ე. ივანოვი, საკავშირო სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების სხვა ხელმძღვანელები.

ისინი ეწვივნენ თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო საწარმოო გაერთიანებას, თბილისის ტელევიზორების ქარხანა „ელარას“, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მოონს“ და მის ქარხანას, თბილისის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანებას. განიხილეს ზოგიერთი საკითხი, რომლებიც დაკავშირებულია „საქკვებმანქანის“ გაერთიანებისათვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და მოწყობილობის დამზადებასთან, იყვნენ მუშაობენ სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

ი. დ. მასლიუკოვმა და სხვა ამხანაგებმა ყურადღებით შეისწავლეს ადგილებზე საქმის ვითარება, გაიცნეს სკკპ XXVII ყრილობისა და ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის, საკითხებს, თუ როგორ ხორციელდება გარდაქმნა მრეწველობის საწარმოთა კოლექტივების ცხოვრებაში, როგორ ძლევენ აზროვნების ინერტულობას, როგორ ინერგება მეურნეობის გაძღოლის ისეთი პროგრესული ფორმები, როგორიც არის თვითდაფინანსება და თვითანაზღაურება, როგორ ხორციელდება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება.

დარგების ხელმძღვანელებთან, მუშებთან და მოსამსახურეებთან საუბრის დროს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო წარმოების მუშაკთა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესების, მათი მოთხოვნილებებისა და საჭიროებების მაქსიმალური დაკმაყოფილების, დიდიმუშრომეობური შრომის წინამძღვრების შექმნის საკითხებს.

სერიოზული მსჯელობის საგანი გახდა კადრებთან მუშაობის პრობლემები. ხაზგასმით აღინიშნა, რომ კიდევ უფრო უნდა გაუმჯობესდეს ისეთი მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომლებიც სრულყოფილად იქნებიან დაუფლებული როგორც საწარმოო, ისე ტექნოლოგიურ პროცესებს, ექნებათ ადამიანებთან მუშაობის უნარი, უერთგულებენ მინდობილ საქმესა და პროფესიას.

თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო საწარმოო გაერთიანებაში საერთოდ დადებითად შეფასებულ მისი საქმიანობა, განსაკუთრებით მუშაობა, რომელიც მიმდინარეობს დიდმწარმოებლური მოწყობილობის, რიცხვიული პროგრამული მართვის ჩარხების, მოდულის რეჟიმით მოქმედი დამამუშავებელი ცენტრების დანერგვისათვის, თანამშრომლობა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეცნიერებთან წარმოების რობოტიზაციის, ელექტრული დეტალების დამუშავებისათვის განკუთვნილი მოქნილი ავტომატიზებული ხაზის დანერგვის საქმეში და სხვ.

ამავე დროს აღინიშნა, რომ მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფას, ავტომატური ხაზების, აგრეთვე შრომის სტანდარტული პროგრესული ფორმების უფრო გაბედული დანერგვას.

სერიოზული პრეტენზიები გამოთქვა სახალხო მეურნეობის საჭირო წარ

**პარტიული ცხოვრება: გარდაქმნის წყნაგი და შედეგი**

# კი არ ვმართოთ, ვუხელმძღვანელოთ მართვას

**უკვე** ექვსი წელია, რაც ჩვენს ქალაქში მიმდინარეობს ექსპერიმენტი, რომელმაც საშუალება მოგვცა დაგეგმვისას უფრო სრულად შეგვეწყო ერთმანეთთან დარგობრივი და ტერიტორიული პრინციპები, უფრო ეფექტიანად გამოგვეყენებინა ეკონომიკური სტიმულები და ბერკეტები, გაგვეუმჯობესებინა მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა და მეთოდები.

სამეურნეო და კულტურულ შენებლობაში ადგილობრივი საბჭოების უფლება-მოვალეობათა მნიშვნელოვანი გაფართოების ნაბიჯი პარტიისა და მთავრობის დადგენილების შესაბამისად წამოწყებულმა ამ ექსპერიმენტმა საქალაქო საბჭოს აღმასკომს შეუქმნა მთელი ეკონომიკის მართვის ქმედითი მექანიზმი, რამაც, თავის მხრივ, პარტიის საქალაქო კომიტეტს საშუალება მისცა საგრძნობლად გამოთავისუფლებულიყო ყოველდღიური წვრილმანი საწარმოო საკითხების გადაწყვეტის აუცილებლობისაგან, თვითონ უშუალოდ კი არ ემართა ეკონომიკა, არამედ ეხელმძღვანელა მისი მართვისაკენ. და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მას ამის შეშვებობით ამჟამად ადამიანებთან ბევრად უფრო აქტიური და ნაყოფიერი, ცოცხალი იდეურ-აღმზრდელობითი, პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული შუამაობის საშუალება აქვს.

ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ ნებისმიერი გაწეული შუამაობის ეფექტიანობის საუკეთესო განმსაზღვრელი მისი საბოლოო შედეგია. თუ საკითხს ამჟამადაც ამ უტოპიური საზომით მივუდგებით, უპირველესად უნდა ითქვას, რომ ფოთური ექსპერიმენტის დროულობასა და საჭიროობაზე, მის დადებითს შედეგებზე ნათლად მეტყველებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, რომელმაც მოიწონა იგი და საამისოდ გაწეული შუამაობის გამოცდილება.

ამის არანაკლებ მჭევრმეტყველური დადასტურებაა ფოთელ შრომელთა ბოლოდროინდელი წარმატებები და საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გაძარჯვებაც. გადაჭარბებით შევასრულეთ წლეულდელი ხუთი თვის გეგმებიც.

დიახ, წარმატებები მართლაც არის, მაგრამ ის კრიტიკული ფენომენები და მითითებები, რომლებიც პარტიულ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და მმართველობითი შუამაობის ჩვენეული გამოცდილების მთლიან დადებით შეფასებასთან ერთად ახლახან ფოთში ყოფნისას გამოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა ი. ლიგაჩოვმა, გვავალდებულებს უფრო დავხვეწოთ საქმიანობის, ტერიტორიულ-დარგთშორისი გაერთიანების ფუნქციონირების ფორმები და მეთოდები, ვიმუშაოთ დღევანდელობის მოთხოვნათა შესაბამისად.

მისი რეკომენდაციები და რჩევა-დარიგება საქალაქო პარტიული ორგანიზაციისთვის ჭეშმარიტად სამოქმედო პროგრამაა. ამიტომაც იყო, რომ ამ დღეებში პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ დაამტკიცა მათი პრაქტიკული რეალიზაციისათვის საჭირო კონკრეტული ღონისძიებების გეგმა, რომლის შესრულება უთუოდ დაგვეხმარება უკეთ მუშაობაში.

მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ყოველგვარი გეგმა ჰაერში გამოკიდებული დაგვრჩება, წარმატებასა და მუშაობის სასიკეთო შედეგიწყო ხელი ამ ბოლო წლების მანძილზე ექსპერიმენტის წყალობით დაახლოებით ორი მილიონი მანეთის ოდენობით მიღებულმა დამატებითმა ფულადმა შემოსავალმა. ამან საშუალება მოგვცა განგვეხორციელებინა ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოები, გაგვეუმჯობესებინა კომუნალური მომსახურება. აშენდა ჩვენს კომბინატის პირველი რიგი, რამაც წმინდა საწარმოო საკითხებთან ერთად გადაწყვიტა ერთი ისეთი მნიშვნელოვანი სოციალური პრობლემაც, როგორიც არის ქალაქის ერთ-ერთ მიკრორაიონში მცხოვრებ ქალთა დასაქმების პრობლემა. მთლიანად გადაკეთდა ფოთის საზოგადოებრივ კონოთეატრი, ამოქმედდა ორშაგი დაქვემდებარების მაღაზია, რომელიც ძირითადად ადგილობრივ საწარმოებში დამზადებული საგრეწველო და სასურსათო პროდუქტებით ვაჭრობს, ტერიტორიულ-დარგთშორისი გაერთიანებისა და სხვადასხვა საწარმოს სახსრების კოოპერირების გზით ქალაქის თვალწარმტაც ადგილას, ზღვის პირას შეიქმნა ტუპპარკი, რომლის ტერიტორიაზეც არის სბაავშვო რკინიგზა, წყალსათხილამურო კომპლექსი, სპორტული დარბაზი, ზოოლოგიური კუთხე, იქვე შენდება სხვა ობიექტებიც. რიონის სანაპიროზე მოეწყო ლამაზი ხეივანი სპორტული მოედნებითურთ, რომელიც ქალაქის მშრომელთა საყვარელი დასასვენებელი ადგილი გახდა, საზღვაო ნავსადგურის ტერიტორიაზე ამოქმედდა ორიგინალური ახალგაზრდული კაფე-ბარი „არგო“, იქვე გაიხსნა საიაღქნო კლუბი, რომლის მეორე რიგი მალე დამთავრდება, მომავალი წლიდან დაიწყება 1200-ადგილიანი სანატორიუმ-პროფილაქტორიუმის მშენებლობა და სხვ.

ბევრ სხვა რამესთან ერთად ამ საარსებოდ მნიშვნელოვანი საკითხებისათვის ზრუნვამ და მისმა პირველმა პრაქტიკულმა შედეგებმა კი ადამიანები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი, რა დასამალია, თავდაპირველად საქმოდ ეჭვიანად უყურებდა ექსპერიმენტს, დაარწმუნა მის სიკეთეში, მაძიებელური გარჯისათვის განწყო ისინი, ახლა ქალაქის საწარმოებში თანმიმდევრულად ინერგება მუშაობის პროგრესული ფორმები. კერძოდ, საზღვაო-საავაჭრო ნავსადგური წლეგანდელი პირველი იანვრიდან მთლიანად გადავიდა სამეურნეო ანგარიშზე, რამაც უკვე გამოიღო სასიამოვნო ნაყოფი. სულ უფრო ფართო სარბიელი ეძლევა მრავალცვლიან მუშაობას. ამის დამადასტურებელია თუნდაც ის ფაქტი, რომ ამჟამად ჩვენი მთლიანი ნაწარმის 67,2 პროცენტი სწორედ მეორე და მესამე ცვლაშია დამზადებული. პირველი დღიდანვე შეუფერხებლად მიმდინარეობს პროდუქციის სახმიღება ჰიდრომექანიზაციის მანქანათსაშენებელ ქარხანაში. ახლახან კი პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ მიიწონა და ყველა საწარმოს დაავალა თავიანთთან დანერგონ ქარხანა „ფოთელექტროაპარატის“ მშრომელთა ინიციატივა, რომლებმაც გადაწყვიტეს სახმიღების ორგანოს მოთხოვნათა დონემდე აიყვანონ ტექნიკური კონტროლის განყოფილების მუშაობა.

აღსანიშნავია ისიც, რომ შესაბამის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტთან ერთად მუშავდება მეთორმეტე ხუთწლეულის ეფექტიანი ფორმა, ტერიტორიულ-დარგობრივი ნაყოფიერების გაორკეცების მიზნობრივი კომპლექსური პროგრამა. გარკვეული მუშაობა მიმდინარეობს კოოპერატივების შესაქმნელად. ამჟამად ქალაქში ფუნქციონირებს საყოფაცხოვრებო ტექნიკის, რადიო და ტელეაპარატურის შემკეთებელი, ხმისა და ვიდეოგამოსახულების ჩამწერი 4-კაციანი კოოპერატივი „ელექტრონიკა“. სამი დიასახლისისა და პენსიონერებისაგან დაკომპლექტებული „ია“ სამკერავლო ფაბრიკის ნარჩენებისაგან კერავს ბავშვის ტანსაცმელს. „განთიადს“ მოჰყავს კიტრი, პამიდორი, მწვანე ხახვი და სხვ. ამ მხრივ მუშაობა გრძელდება. გარდა ამისა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „პოსტის“ ფირმასთან დადებულია ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც მომავალი წლიდან ქალაქში დაიწყება ერთობლივი საწარმოს მშენებლობა, მოწყობილობა-დანადგარებს კი ფირმა გამოგზავნის.

ასე რომ, ქალაქის მშრომელთა ყოველდღიურ ცხოვრებასა და საქმიანობაში თანდათან იკრებს ძალას გარდაქმნა, რასაც საგრძნობლად უწყობს ხელს კადრებთან მუშაობის გაუმჯობესება, ხელმძღვანელთა არჩევითობის, საჯაროობისა და დემოკრატიზაციის პრინციპების სულ უფრო მეტად დამკვიდრება. ქალაქში ხელმძღვანელ სამუშაოებზე მუშაკთა დანიშვნისას აქამდეც დიდ ყურადღებას აქცევდნენ შრომითი კოლექტივების აზრსა და რეკომენდაციებს. მაგალითად, შარშან დაწინაურებული 180 მუშაკიდან 157 მხოლოდ ამგვარად ჩაუდგა სათავეში ამა თუ იმ უბანს. მაგრამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის შემდეგ ამ მუშაობას სულ სხვა ხასიათი მიეცა — კი არ ვნიშნავთ, ვირჩევთ. ასე აირჩიეს თავიანთ ხელმძღვანელებად შრომელებმა ჰიდრომექანიზაციის მანქანათსაშენებელი ქარხნის; ადგილობრივი მრეწველობის გაერთიანების სამკერავლო ფაბრიკისა და ტურბაზის დირექტორები, რკინიგზის კვანძის პარტკომის მდივანი, ჰიდრომელიორაციის ტექნიკუმის დირექტორის მოადგილე, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსი.

მაგრამ როგორც ჩვენი მუშაობის ანალიზი გვიჩვენებს, ჯერჯერობით ყველა პირველადი ორგანიზაცია ერთნაირი აქტიურობითა და პასუხისმგებლობით არ იღებს დღევანდელობის მოთხოვნათა მიხედვით მუშაობის გარდაქმნისათვის, უხერხემლობას იჩენდა ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკიც. ყველაფერი ეს ხელს უშლიდა მეურნეობრიობის ახალ მეთოდში არსებული იმ პოტენციალის სრულად გამოყენებას, რომლის საფუძველია ეკოხმიკის მართვის დემოკრატიზაცია. ამიტომაც იძულებული გავხდით თანამდებობებიდან გაგვთავისუფლებინა რამდენიმე ისეთი მსხვილი საწარმოს ხელმძღვანელი, რომლებიც ცოტა ხნის წინათ თითქოსდა შეუცვლელად ითვლებოდნენ. მატერიალურად პასუხსაგები თანამდებობიდან გავათავისუფლეთ მთელი რიგი ისეთი მუშაკებიც, რომელთა მიმართ ცუდი საზოგადოებრივი აზრი იყო შექმნილი. ამან მოსახლეობაში დადებითი რეზონანსი გამოიწვია.

ქალაქში სულ უფრო ძლიერდება და ორგანიზებული ხდება ბრძოლა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ, რასაც კარგი შედეგი მოჰყვა — მკვეთრად შემცირდა გამოსაფხიზლებელში მიყვანილთა რიცხვი, საწარმოებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში განმტკიცდა დისციპლინა და წესრიგი.

და მაინც, როგორც ეკონომიკაში, ასევე საზოგადოებრივ ცხოვრებაში კვლავაც საკმაოდ გვაქვს გადასაჭრელი პრობლემები და საფიქრალ-საზრუნავი. დასახვეწია საკადრო პოლიტიკა, საჭიროა უფრო პრინციპული ბრძოლა უშრომელი შემოსავლისა და სხვა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, მეტი გარჯა გვმართებს დისციპლინის განსამტკიცებლად და მინდობილი საქმისათვის თითოეული მუშაკის პასუხისმგებლობის გასაღიდებლად. გასაუმჯობესებელია მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურება, ფართო მოხმარების საგნების გამოშვებისათვის მუშაობა. მართალია, ქალაქის საგრეწველო საწარმოები რამდენიმე სახეობის ამგვარ ნაწარმს უშვებენ, მაგრამ გვაფიქრებს ის, რომ არც ერთ მათგანს არა აქვს სახელმწიფო ხარისხის ნიშანი.

განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა კაპიტალურ მშენებლობაში. თუმცა სამშენებლო ორგანიზაციები გეგმებს ასრულებენ, მაგრამ ჯერ კიდევ ხშირია მშენებლობის ვადების დარღვევები, დაუმთავრებელი ობიექტების ჩაბარების, ტექნიკური პირობების უგულებელყოფის ფაქტები და სხვა. და რაც მთავარია, ძალზე ცუდია სამშენებლო სამუშაოთა ხარისხი, რაც მცხოვრებთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. სამშენებლო ორგანიზაციათა ხელმძღვანელები და პარტიული ორგანიზაციები კი ძალზე ნელი ტემპით ნერგავენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებს, მუშაობის მოწინავე გამოცდილებასა და ჩვეთოდებს. ყველაფერი ეს ჩვენი ეუშაობის სერიოზული ნაკლოვანებებია, რისთვისაც სავსებით სამართლიანად გაგვაკრიტიკა გაზეთმა „პრავდამ“,

პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ განიხილა კაპიტალურ მშენებლობაში შექმნილი ვდგომარეობა. თანამდებობიდან განთავისუფლებული არიან სამშენებლო სამმართველოს უფროსი და მთავარი ინჟინერი, მკაცრად დაისაჯა მეათე ტრესტის ხელმძღვანელობა. დაისახა მდგომარეობის ოპერატიული და უთუო გამოსწორების კონკრეტული ღონისძიებები. იმედი გვაქვს, რომ სამშენებლო ტრესტის ხელმძღვანელობა ახლო მომავალში შეძლებს ეუშაობის ძირეულ გარდაქმნას, რაშიც მას ქალაქისა და მშენებლობის სამინისტროს ხელმძღვანელობის ქმედითი დახმარება სჭირდება.

კარგად ვგრძნობთ საქალაქო პარტიული ორგანიზაციის წინაშე მდგომი ამოცანების სერიოზულობას. მით უფრო, რომ ფოთი ჩვენი რესპუბლიკის მხოლოდ ტერიტორიული ერთეული კი არ არის, არამედ მსხვილი ნავსადგურის მქონე ინტერნაციონალური ქალაქია, სადაც სისტემატურად ჩამოდიან საზღვარგარეთის ქვეყნების წარმომადგენლები და აქ არსებული მდგომარეობით გარკვეული წარმოდგენაც ექმნებიათ საბჭოური ცხოვრების წესზე.

სერიოზული მუშაობა გვმართებს ექსპერიმენტის და თვით ტერიტორიულ-დარგთშორისი გაერთიანების ფუნქციონირების შემდგომი სრულყოფის, მისი სტრუქტურის მოწესრიგებისათვის, იმისათვის, რომ იგი უფრო მოქნილი, ოპერატიული და მობილური გახდეს.

მართლაც დიდი და სერიოზული სამუშაო მოგველის, მაგრამ ფოთის საქალაქო პარტიული ორგანიზაცია, აქაური კომუნისტები და მშრომელები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა დღევანდელობის მოთხოვნათა მიხედვით გარდაქმნან მუშაობა, თავიანთი წვლილი შეიტანონ ჩვენს რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელ საბჭოეთში მიმდინარე სასიკეთო რევოლუციურ გარდაქმნებში.

**პ. ბერაია,**
**პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი.**

**თბილისის** ორჯონიკიძის სახელობის სამკერავლო ფაბრიკაში მიმდინარეობს საწარმოს რეკონსტრუქცია და ტექნიკური განახლება. ეს მრავალ ტექნიკური და ორგანიზაციული ხასიათის სირთულეებს უკავშირდება. მიუხედავად ამისა, ხუთი თვის პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის გეგმები მთლიანად შესრულდა. სიახლის ინდექსით ნავარაუდევზე მეტი ტანსაცმელი დამზადდა.

**სურათზე:** № 1 სამკერავლო საამქროს მოწინავე ოსტატი, შრომის ვეტერანი მ. ნადირაშვილი ესაუბრება თავის აღსაზრდელს, მკერავ ს. ბოკერიას, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში საუკეთესო შედეგებს აღწევს.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

# ღრმა დაინტერესება საქართველოს ეკონომიკის განვითარებით

(დასასრული)

მანქანათსაშენებელი დარგის განვითარების დონე მოითხოვს, რომ მაქსიმალურად უნდა გააქტიურდეს ასეთი კავშირი.

ამ ბოლო დროს თბილისის ტელევიზორების ქარხანა „ეკრანში“ ბევრი რამ კეთდება წარმოების ტექნოლოგიისა და ორგანიზაციის სრულყოფისათვის, იმ პირობების განსაზღვრისათვის, რომლებიც საწარმოს საშუალებას მისცემს უფრო სწრაფად გამოავლინოს სოციალისტური ეკონომიკის პოტენციალი, დაიჩაროს წარმოების ტექნიკური განახლება, შეუქმნას შრომის კოლექტივს საჭირო ტექნოლოგიური საფუძველი მუშაობის ეფექტიანობის გაზრდისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ამ საწარმოში ყოფნისას ყურადღება მიიპყრო ძირითად საჭიროებათა პროდუქციის დამამზადებელი აქ მოქმედი საკონვეიერო ხაზის მუშაობამ, დადებითად შეფასდა მისი პერსპექტიული მოდელების დამუშავება, გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებით მაღალსტანდარტული ნახევრად ავტომატური სასტენციალი საწყობის შექმნა.

მოწონებას იმსახურებს მაღალხარისხიანი „ორბიტის“ საქმიანობაც, რომელიც სულ უფრო მეტად ხდება მომხმარებელთა მომსახურების კომპლექსური ცენტრი, სადაც მოქმედებს სერვისის სრული ციკლი ტელევიზორების გაყიდვითა და ბინაში მისი დადგმით დაწყებული და მათი დროული საგარანტიო რემონტით დამთავრებული.

ამავე დროს საწარმო „ეკრანიც“ და მაღაზიაც ჯერ კიდევ სრულად ვერ იყენებენ არსებულ შესაძლებლობებს. კერძოდ, აღინიშნა, რომ სასურველი იქნებოდა ეს ქარხანა გარდაქმნილიყო დახშული ციკლის საწარმოდ, რომელიც იმოქმედებდა პრინციპით: ქარხანა — სავაჭრო ორგანიზაცია — მყიდველი, მაქსიმალურად გაფართოებულიყო სპეციალიზებული მაღაზიების ქსელი, რომლებსაც დაეკისრებათ ნაყიდი ტელევიზორების სრული ტექნიკური მომსახურების ფუნქცია.

თბილისის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანებაში ბევრი რამ გაკეთდა წარმოების სრულყოფისათვის. მაგრამ აქაც არსებულ შესაძლებლობებს საკმარისად ვერ იყენებენ, კერძოდ, პროგრესული ტექნოლოგიის რაც შეიძლება მალე დანერგვისათვის. უფრო გაბედულად უნდა გამოავლინონ პროდუქციის განახლების შესაძლებლობანი, გამოსახონ წარმოების სრულყოფის ყველაზე ეფექტიანი გზები, მიაღწიონ ნაწარმის დიდ კონკურენტუნარიანობას.

მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი პრობლემები მუშავდება სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მოონსა“ და ქარხანაში. აქ შექმნილი ინტეგრალური სქემების წარმოების ტექნოლოგიური ხაზები მსოფლიო სტანდარტების დონეზეა. ყურადღებას იპყრობს პირსონალური ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანები სკოლებისა და სხვა მომხმარებლებისათვის. საწარმოში დიდად ზრუნავენ მუშაკებისათვის — შემოუშავებულია შრომის ანაზღაურების ახალი პროგრესული სისტემა, საამქროებში გამოყოფილია დასასვენებელი ოთახები, დიდი ყურადღება ეთმობა სასადილოს, ბუფეტებისა და სოციალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ობიექტების მუშაობას.

რესპუბლიკის მანქანათსაშენებელი მრეწველობის საწარმოებისა და დარგების ხელმძღვანელებთან შეხვედრებისა და საუბრების დროს მთავარი ყურადღება დაეთმო მუშაობაში ნაკლოვანებათა ლიკვიდაციის გზებს, რომლებიც ჯერ კიდევ ბევრია და გარდაქმნისა და დაჩქარების ახლანდელ პირობებში განსაკუთრებით შეუწყნარებელი ხდება. ჯერ კიდევ ძალიან დაბალია ავტომატიზაციისა და რობოტიზაციის დონე მანქანათმშენებლობაში. ჯერ კიდევ არ შეესაბამება დღევანდელობის მოთხოვნებს ზრუნვა წარმოების მუშაკთა მოთხოვნილებებისა და სოციალური საჭიროებებისათვის, გამოცდილი, კვალიფიციური კადრების შენარჩუნებისა და ახალთა მომზადებისათვის.

ყოველნაირად უნდა გაძლიერდეს მუშაობა მანქანათმშენებლობის მრეწველობის საწარმოებში პარტიულ ორგანიზაციათა ორგანიზატორული და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი საქმიანობის სრულყოფისათვის, გარდაქმნისა და დაჩქარების პროცესში კომუნისტთა ავანგარდული როლის გააქტიურებისა და ადამიანთა შეგრნებაში ახალი აზროვნების დამკვიდრებისათვის.

• • •

საწარმოთა და გაერთიანებათა საქმიანობის გაცნობის დამთავრების შემდეგ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა შეხვედრა ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მეგრეთა და მანქანათმშენებლობის დარგის სამინისტროების და უწყებების ხელმძღვანელებთან. შეხვედრაზე გააანალიზეს რესპუბლიკის საწარმოთა და გაერთიანებათა მუშაობის დადებითი და უარყოფითი მხარეები, განიხილეს მათი ფუნქციონირების შემდგომი გაუმჯობესების კონკრეტული გზები.

შეხვედრაზე გამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. დ. მასლიუკოვი, რომელიც დაწვრილებით შეეხო რესპუბლიკის მანქანათსაშენებელი საწარმოების მუშაობის ზოგჯერ პასიური პოზიცია უკავიათ სახალხო საქონლის წარმოების ნაკლოვანებებში. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით უნდა განხორციელდეს ქმედითი ღონისძიებანი, თითოეულ საწარმოში უნდა შეიქმნას შესაბამისი საკონსტრუქტორო ბიუროები კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის მიხედვით, გამოძებნონ ახალი პროდუქცია, რომელიც დროის მაღალ მოთხოვნებს შეესაბამება.

დაისვა აგრეთვე სრულ თვითანაზღაურებასა და თვითდაფინანსებაზე გადასვლისათვის საწარმოების მზადყოფნის საკითხი, რათა უკვე მიმდინარე წელს შეიმუშაონ ძირითადი დებულებები და წანამძღვრები მომავალი წლის განმავლობაში დარგის ყველა საწარმოს მუშაობის ახალ პირობებზე გადაყვანისათვის.

შეხვედრაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი. მან დიდი მადლობა გადაუხადა კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას, საკავშირო სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს იმისათვის, რომ ასე დიდად ზრუნავენ და პრაქტიკულ დახმარებას უწევენ რესპუბლიკას, რათა მან დაძლიოს ჩამორჩენა, კიდევ უფრო გაზარდოს ეკონომიკა, ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სიტყვისა და საქმის ერთიანობას, რასაც რეალურად ამკვიდრებს ჩვენი პარტია ყოველდღიურ ცხოვრებაში, ხუთწლედის დავალებათა წარმატებული შესრულებისათვის მშრომელთა დასარაზმავად.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ ამხანაგები ვ. ი. ალავიძე, ბ. ბ. გოლაშვილი, ა. ნ. ინაური, კ. ა. კოჩეტოვი, ბ. ვ. ნიკოლაკი, ო. ე. ჩერქეზია, გ. გ. გუმბარიძე.

(საქინფორმი).

# ალმოვფხვრათ საქმიანობის მოძველებული მეთოდები

**გორის** რაიონული პარტიული ორგანიზაციის შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელ დადგენილებაში აღნიშნული მუშაობის სერიოზულ ნაკლოვანებათა დაძლევის გზების განსაზღვრას მიეძღვნა საქართველოს კომპარტიის გორის რაიკომის პლენუმი.

პარტიის გორის რაიკომის პირველი მდივნის ვ. პ. აბრამშვილის მოხსენებაში, გამოსვლებში მთელი პრინციპულობით იყო ხაზგასმული, რომ პარტიის რაიონულმა კომიტეტმა ვერ შეძლო გარდაქმნა და განაგრძობს ძველებურად მუშობას, ეკონომიკისადმი ხელმძღვანელობაში უპირატესად ორიენტირს იღებს ზოგადი, მთლიანი მაჩვენებლების მიღწევაზე, უპირველეს მნიშვნელობას არ ანიჭებს ეფექტიანობისა და ხარისხის განმსაზღვრელ პარამეტრებს. საკმარის ყურადღებას არ უთმობს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესს მიღწევათა გამოყენებას.

რაიონში დაბალია მუშათა და კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დასაქმებულია მხოლოდ პირად და საკარმიდამო მეურნეობებში, რაც, რა თქმა უნდა, უარყოფით გავლენას ახდენს საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების დონეზე. ხშირია შეფერხებები მოსახლეობის პირველი საჭიროების საქონლით მომარაგებაში. მომსახურების მოცულობა ერთ მცხოვრებზე რაიონში საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებელზე ხუთჯერ დაბალია.

რაიონის ბევრი პირველადი პარტიული ორგანიზაცია შეურიგდა არსებულ ნაკლოვანებებს, რის შედეგად შენელდა პარტიული კონტროლი და მომთხოვნელობა. და, როგორც ამის შედეგი უკანასკნელი წლების მანძილზე საზოგადოებრივი მეურნეობები თავს ვერ ართმევენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმა-ვალდებულებებს. გასული წლის შედეგებით, მაგალითად, 31 მეურნეობიდან 20 მეურნეობამ ჩაშალა პროდუქციის წარმოების გეგმა.

რაიკომის მუშაობის სტილში ჯარბობს მოძველებული მეთოდები. პლენუმების, პარტიული კრებების, არჩევითი ორგანოების როლი აშკარად დაკნინებულია. ამიტომ ისინი ვერ ახდენ სამეურნეო ცხოვრების საარსებო საკითხების გადაწყვეტის, ორგანიზატორული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის დონის ამაღლების საქმეში პარტიული აქტივის, ყველა კომუნისტის საქმიანობის გააქტიურების ინსტრუმენტი. იმის გამო, რომ სათანადო კონტროლი არ ეწევა გადაწყვეტილებებისა და დავალებების შესრულებას, შესუსტებულია საშემსრულებლო დისციპლინა როგორც რაიკომში, ისე პარტიულ აქტივს შორის. რაიკომის მუშაკები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ადამიანის ფაქტორის, პირველადი პარტიული ორგანიზაციების გააქტიურებას.

სეროიზული ხარვეზებია აგრეთვე კადრებთან მუშაობაში. ცოტა ყურადღება ეთმობა რეზერვის მომზადებას, რის შედეგად ხშირად ხელმძღვანელ თანამდებობებზე სხვადასხვა სფეროში ხვდებიან შემთხვევითი ადამიანები, რომლებიც ვერ ამართლებენ ნდობას.

პლენუმმა შემაშფოთებლად ცნო ის ფაქტი, რომ წლითიწლობით უარესდება ვითარება მევენახეობაში, სეროიზული ნაკლოვანებანაა მებოსტნეობასა და სხვა დარგებში, უხეში დარღვევებია მეცხოველეობაში, სადაც არ იცავენ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მოვლის წესების ელემენტარულ მოთხოვნებს, ჯეროვან სიმაღლეზე ვერ დგას საკეტრინარო სამსახური.

პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს ნაკლოვანებანი რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების ხელმძღვანელობის, მთავარი სპეციალისტების თვითდამშვიდების, მეურნეობათა ხელმძღვანელებისადმი მომთხოვნელობის შესუსტების შედეგია.

რაიკომისა და მისი ბიუროს საქმიანობაში სერიოზულ ნაკლოვანებებს მოწმობს ის ფაქტი, რომ უკანასკნელ ხანს არ ხორციელდება დისციპლინის განმტკიცების, შესაბამისი სახელმწიფო წესრიგის დამყარების ღონისძიებანი, რის გამოც მთელ რიგ საწარმოებში გამოვლინდა წამატებების, თვალის ახვევის, სახელმწიფო საკუთრების დატაცების შემთხვევები. მარტო უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების სისტემაში დაგროვდა 12 მილიონი მანეთის უკანონოდ დახარჯვის ფაქტები.

პლენუმზე გამოითქვა განსაკუთრებული შეშფოთება იმის გამო, რომ რაიკოოპკავშირის დამზადების ეფექტი და ამით დაადასტურა თავისი სამართლიანობა.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის ჟურნალისტთა ორგანიზაციების წარმომადგენლები თ. მ. ბურლაკი, ა. ს. პლეკაკო, ზ. გ. ბალაიანი, ა. პ. როსკოშნი, ი. პ. მაკალოვიჩი, გ. ი. ნეკლესოვი, ა. შ. იოსელიანი, ვ. ი. ჩისტიაკოვი, დ. ა. გრაბოვოი, დ. მ. ბულიაკოვი, ტ. შ. ტაგანოვა, ტ. ვ. სოო. ორატორებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საჯაროობის, საზოგადოების დემოკრატიზაციის პარტიისეული კურსი იწვევს საბჭოთა ადამიანების უდიდეს ინტერესს გარდაქმნის ძირეული პრობლემებისადმი. მაგრამ არავის არ აინტერესებს ზოგადი, გაცვეთილი ფრაზები, შტამპები ინფორმირების ფორმასა და შინაარსში. ეს მოითხოვს ჟურნალისტთა განსაკუთრებულ მომთხოვნელობას საკუთარი შრომისადმი. ახლა მასობრივი ინფორმაციის მთელი საშუალებანი განწყობილი უნდა იყვნენ მხოლოდ და მხოლოდ შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის.

პლენუმზე განიხილეს აგრეთვე საკითხი, თუ როგორ ასრულებენ სსრკ ჟურნალისტთა კავშირის VI ყრილობის გადაწყვეტილებებს ლიტვის, კრასნოიარსკის მხარისა და ბრიანსკის ოლქის შემოქმედებითი ორგანიზაციები.

(საკადესი).

# ვიმუშაოთ შემოქმედებითად, ძალების სრული დაძაბვით

**17 ივნისს** მოსკოვში გაიმართა სსრკ ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის მორიგი პლენუმი, რომელიც მიეძღვნა პრესის, ტელევიზიის, რადიოს მუშაკთა შრომითი, პოლიტიკური და სულიერი აქტიურობის გაძლიერებას დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის ქვეყნის მზადების დამამთავრებელ ეტაპზე.

მოხსენება „მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა როლი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის სამზადისში“ გააკეთა სსრკ ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ გაზეთ „იზვესტიის“ მთავარმა რედაქტორმა ი. დ. ლაპტევმა.

შემოქმედებითი, აღმშენებლობითი ენერგიის ამამაღლობის აქტიური მამობილიზებელი ძალა გახდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა საბჭოთა ხალხისადმი ოქტომბრის 70 წლისთავის გამო, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა.

ოქტომბრის გამოცდილება სწორეშოვარია ყოველი ჩვენგანისათვის სწორედ ამ დღეებში, როდესაც უდიდესი მნიშვნელობის პრობლემების გადაჭრას შევუდექით, როდესაც მიმდინარეობს ჭეშმარიტად რევოლუციური გარდაქმნები საზოგადოებაში, თქვა მან, საჭიროა ანალიზური მიდგომა ყოველი მოვლენის შეფასებისადმი, რათა მკაფიოდ და გასაგებად გამოვხატოთ ის, რასაც ფიქრობს, რითაც სულდგმულობს ხალხი. ჩვენ გვმართებს არა მარტო შეიტანოთ ხალხში პარტიის სიტყვა, არამედ ვიბრძოლოთ კიდეც იმისათვის, რომ ეს სიტყვა ადამიანთა საარსებო მნიშვნელობის საქმედ იქცეს. და აქ უაღრესად საჭიროა გამოვიჩინოთ პოლიტიკური ალღო, ნათლად გვქონდეს წარმოდგენილი, ვის უწყობს ხელს, ვის ინტერესებს გამოხატავს ესა თუ ის გამოსვლა. არცთუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც ავტორის ბუნდოვან პოზიციას შედეგად მოსდევს ცალმხრივი საჯაროობა, მხოლოდ ნეგატიური მოვლენების ჩვენება.

უარყოფითს ეპიზოდებზე ყურადღების ასეთი გამახვილება იწვევს იმას, რომ ოქტომბრის თემატიკის გაშუქებისას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ვერა და ვერ მოუბიათ თავი ჩვენი ქვეყნის 70 წლის გზის ობიექტური ჩვენებისათვის. რა თქმა უნდა, აღინიშნა მოხსენებაში, ხალხს უნდა დავუბრუნოთ ბევრი გმირი, რომლებიც ყოვლად დაუმსახურებლად მიეცნენ დავიწყებას. მაგრამ გავჩერდ

ყოველკვირეული ინფორმაციული ფურცელი

# ეკონომიკა
ფაქტები • მოვლენები

# მილიციის ინსპექტორი

**ია** ისტორიული მნიშვნელობის გარდაქმნების ეთაურებში, რომლებიც ახლა ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს, სოციალისტური კანონიერების დაცვას და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ეს კი ნიშნავს, რომ მილიციას, როგორც ხალხს მსახურს, მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეს საზოგადოებასთან, რათა ოპერატიულად განიხილოს მშრომელთა საჩივრები, განცხადებები, ცალკეული მოთხოვნები. მოქალაქეს უნდა სწამდეს, რომ მილიცია ყოველთვის დაიცავს მისთვის კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებებს და განსაცდელის ჟამს მხარში ამოუდგება.

მილიციის თანამშრომლის მოქმედება სიმკაცრესა და სიმტკიცესთან ერთად უმწიკვლო, სამართლიანი და მოსახლეობისათვის გასაგები უნდა იყოს. მილიციის ორგანოების ამ რთული ამოცანების დადებითად გადაწყვეტაში დიდი როლი ეკისრებათ უბნის ინსპექტორებს, რომელთა სწორ და ოპერატიულ მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული ჩვენი მომავალი წარმატებები.

სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ბოლო წლებში მათი მუშაობის ეფექტიანობა რამდენადმე შესუსტდა. ეს იმიტომ მოხდა, რომ წლების მანძილზე შინაგან საქმეთა სამინისტროში არ არსებობდა უბნის ინსპექტორების მაორგანიზებელი სამსახური, რომელიც მათ მუშაობას კოორდინაციას გაუწევდა. ამან კი გამოიწვია ის, რომ მილიციის უბნის ინსპექტორებს ხშირად ადგილებზე დანიშნულებისამებრ არ იყენებდნენ, აცდენდნენ ძირითადი სამსახურისაგან ადმინისტრაციულ უბანში. მაგალითად, ისინი ხშირად წესრიგს ამყარებენ ანტისანიტარიის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ეს მაშინ, როდესაც მათ ევალებათ მხოლოდ დახმარება გაუწიონ შესაბამის კომუნალურ სამსახურებს ამ საკითხის მოგვარებაში. უფრო მეტიც, არცთუ იშვიათად უბნის ინსპექტორები ასრულებენ ფოსტალიონის მოვალეობას, როდესაც ისინი არიგებენ უწყებებს შინაგან საქმეთა ორგანოში მოქალაქეთა გამოსაძახებლად, სასოფლო რაიონებში ისინი მორიგეობენ გზებზე მოწყობილ ხერგილებზე, ეწევიან საბადრაგო სამსახურს და ოპერატიული მუშაკების ცალკეულ დავალებებსაც ასრულებენ, ეხმარება, ამ ფრთ მათ სამუშაო უბნები მიტოვებულია.

შინაგან საქმეთა ორგანოების ხელმძღვანელები იქამდეც კი მივიდნენ, რომ უბნის ინსპექტორებს წესრიგის დასამყარებლად იყენებენ რესტორნებში და სხვა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, ამის გამო ისინი ვერ უწევენ სათანადო კონტროლს იმათ, ვისგანაც დანაშაულია მოსალოდნელი. მაგალითად, ქ. თბილისის ლენინის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების ხელმძღვანელობის მეთითებით, უბნის ინსპექტორები ყოველდღიურად მორიგეობდნენ რესტორნებში და კაფეებში, სადაც წესრიგს უნდა ამყარებდნენ ამ დაწესებულებათა ხელმძღვანელები და მოსამსახურე პირსონალი.

ამ რამდენიმე ხნის წინათ ზემდგომმა ორგანოებმა მიიღეს სპეციალური დადგენილება, რომელიც ითვალისწინებს უბნის ინსპექტორების სამსახურისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. ისინი უზრუნველყოფილნი იქნებიან სამუშაო ოთახებით, ტელეფონებით, სოფლად პირად სარგებლობაში მიეცემათ მიწის ნაკვეთები, მომდინარე წლის ნოემბრიდან მათ აღარ დაეკვეთებათ საშემოსავლო გადასახადი და სხვა. ამ დადგენილებაში საკმაო ადგილი დაეთმო უბნის ინსპექტორების მუშაობის საჯაროობას, საზოგადოებრივობასთან კავშირის განმტკიცებას, ბრძოლისუნარიანობის სრულყოფას.

რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოში შეიქმნა სპეციალური განყოფილება, რომელიც სისტემატიურად გააანალიზებს, კონტროლს და კოორდინაციას გაუწევს მთ დიდმნიშვნელოვან შრომას.

იქ, სადაც უბნის ინსპექტორი სწორად გეგმავს თავის სამუშაო დღეს, შედეგიც ნათელი და გასაგებია. ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უბნის ინსპექტორმა, სკკპ წევრმა ა. ღვინიანიძემ საზოგადოებრივ ფორმირებებთან მჭიდრო კავშირით შეძლო თავის სამოქმედო უბანში მომხდარი სისხლის სამართლის დანაშაულობათა რაოდენობა მინიმუმამდე შეეშცირებინა. ემსახურება რა გ. დიმიტროვის სახელობის სააეროპორტო საწარმოო გაერთიანების დასახლებას, მისი მეცადინეობის და აქტიურობის შედეგად წელს აქ პირადი ქონების არც ერთი ქურდობა არ მომხდარა, ხოლო ბოლო სამი წლის განმავლობაში მის სამოქმედო ტერიტორიაზე არც ერთი სისხლის სამართლის დანაშაული არ დარეგისტრირებულა. უბანში აღმოჩენილი ოპერატიული პროფილაქტიკური ღონისძიებები აგებულია პოტენციურად საშიშ კონტიგენტთან ინდივიდუალურ მუშაობაზე.

მისი სამსახური სხვებისაგან შედარებით იმითაც გამოირჩევა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში მის სამოქმედო უბანში არც ერთი მთვრალს არ ჩაუდენია ისეთი სისხლის სამართლის დანაშაული, როგორიცაა მკვლელობა, სხეულის დაზიანება, ბოროტი ხულიგნობა თუ გაუპატიურება.

1986 წელს ამ უბანში ალიციებზე იყო 10 კონფლიქტური ოჯახი, რომელთა მიმართ კონტროლის შესუსტებას შეიძლება მოჰყოლოდა სისხლის სამართლის დანაშაული. მან უბანში მდებარე საზოგადებრივი წესრიგის დაცვის პუნქტისა და წარმოებაში შექმნილი პროფილაქტიკური საბჭოების დახმარებით შეძლო 8 ოჯახის კონფლიქტები და მოსალოდნელი უწესრიგობა თავიდან აეცილებინა. ამ კონკრეტული მაგალითადან ნათლად ჩანს, თუ რამდენი სარგებლობის მოტანა შეუძლია უბნის ინსპექტორს, რომელსაც სხვისი ტკივილი გულთან ახლოს მიაქვს და მუდამ ახლის ძიებაშია.

უბნის ინსპექტორის ა. ღვინიანიძის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ მიმდინარე წლის 3 მარტს საგანგებო მოისმინა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროომ. ამ დიდმნიშვნელოვანმა აქციამ მილიციის პირად შემადგენლობაში გამოიწვია მეტი დარაზმულობა, ბრძოლისუნარიანობისა და ავტორიტეტის გაზრდა. უეჭველია, უბნის ინსპექტორები ყველაფერს იღონებენ იმისათვის, რომ უფრო გონივრულად ემსახურონ მშრომელ ხალხს, დაიცვან მათი სიცოცხლე, ჯანმრთელობა, ღირსება და პატიოსნება ჩვენი ცხოვრების ყოველგვარი ანტიპოდების ხელყოფისაგან.

განა მადლობას არ იმსახურებენ საგარეჯოს, გორის, გარდაბნის, ვანის რაიგანყოფილებათა უბნის ინსპექტორები ბ. დალაქიშვილი, ნ. ალიევი, ნ. ფილიშვილი, ლ. დეკანოზიშვილი და მრავალნი სხვანი, რომელთა სამოქმედო მიკრორაიონებში არც ერთი ანტისაზოგადოებრივი მოვლენა თუ ფაქტი უყურადღებოდ არ რჩება, სადაც დანაშაულის პროფილაქტიკა სათანადო დონეზე დგას, და თუ დანაშაული მოხდა, იგი გაიხსნება. ამ უბნის ინსპექტორების მიზანი ადამიანის დასჯა კი არა, ის არის, რომ შემთხვევით გზას აცდენილ თავის დროზე დანაგანცხადებებსა და საჩივრებს. უბნის ინსპექტორების უმრავლესობა ამას ითვალისწინებს და, რასაკვირველია, უურადღებით განიხილავს აღძრულ საკითხებს. და პასუხსაც აცნობებენ ავტორებს, მაგრამ ჯერჯერობით ვერ მივაღწიეთ ისეთ მდგომარეობას, რომ ცალკეულ შემთხვევებშიც კი განმცხადებელი ერთსა და იმავე საკითხზე ორჯერ ან მეტჯერ არ მიმართავდეს უბნის ინსპექტორს.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გვხვდება მილიციის უბნის ინსპექტორთა მხრიდან ადამიანებისადმი უსულგულო, უყურადღებო დამოკიდებულების, მოქალაქეთა მიმართ უხეშობის, სოციალისტური კანონიერების დარღვევის, ყოფაცხოვრებაში ცალკეულ თანამშრომელთა უღირსი ქცევის შემთხვევები.

1984 წლის 21 ნოემბერს მოქალაქე მ. ახმედოვმა დმანისის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებას მიმართა განცხადებით, რომ მისი ქალიშვილი ს. ახმედოვა მოიტაცა ცოლშვილიანმა ბ. აბდულაევმა, და მოითხოვდა მის კანონიერ დასჯას. განცხადება წარმოებაში მიიღო უბნის ინსპექტორმა მ. მამედოვმა, რომელმაც საკითხის შესწავლის დროს სრული უყურადღებობა გამოიჩინა, დაარღვია სოციალისტური კანონიერება, არ გიერკვა საქმის ვითარებაში, ჩათვალა, თითქოსდა დანაშაული არ მომხდარაყოს, და გამოიტანა დადგენილება სისხლის სამართლის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ. ყოველივე ეს მაშინ, როდესაც ბ. აბდულაევის დანაშაული — ორცოლიანობა ფაქტი იყო, რაც საბჭოთა კანონმდებლობით სისხლის სამართლის დანაშაულია.

ასეთ უყურადღებობას ის შედეგი მოჰყვა, რომ 1985 წლის 10 თებერვალს ბ. აბდულაევმა თავის კანონიერ მეუღლესთან ერთად ბენზინი გადაასხა და დაწვა ს. ახმედოვა. რესპუბლიკის უმაღლესმა სასამართლომ სწორად გამოიტანა კერძო განჩინება უბნის ინსპექტორის მ. მამედოვის მიმართ, რომელმაც თავის დროზე არასწორი დადგენილება მიიღო, რასაც მძიმე შედეგი მოჰყვა. ცხადია, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ უბნის ინსპექტორი მ. მამედოვი სათანადოდ დასაჯა.

ნასამართლევე პირებთან სუსტი მუშაობისათვის და უპასუხისმგებლობისათვის ახმეტის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უბნის ინსპექტორი ა. ჯავახიშვილი დათხოვილია ორგანოებიდან, ხოლო თანეთის რაიონის უბნის ინსპექტორს კ. გუმბათაშვილს დაედო დისციპლინური სასჯელი. სოციალისტური კანონიერების დარღვევისთვის დაისჯა ბოლნისის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უბნის ინსპექტორი ზ. გიორგაძე.

მილიციის უბნის ინსპექტორების შემდგენლობის გაუმჯობესების მიზნით მოვაწყვეთ მათი რიგგარეშე ატესტაცია, რის შედეგადაც 14 პროცენტზე მეტი განთავისუფლებულია თანამდებობიდან, 123 კაცს მიეცა ვადა მომდინარე წლის 1 იანვარამდე მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად. მათი თანამდებობაზე დატოვების შესაძლებლობის საკითხს მოვისმენთ შრომითს კოლეგიებში. რა თქმა უნდა, როდესაც უბნის ინსპექტორები მშრომელთა კოლეგიებს ანგარიშს აბარებენ, მათი საქმიანობა უფრო კრიტიკულად და ობიექტურად უნდა ფასდებოდეს.

პრაქტიკაში შემოვიღეთ სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკების მიერ ადგილებზე ცალკეული უბნის ინსპექტორების ანგარიშების მოსმენა გაწეული მუშაობის შესახებ, ჩვენი აზრით ეს დადებით გავლენას მოახდენს მათი მოღვაწეობის ეფექტიანობაზე. უბნის ინსპექტორების მოწინავე გამოცდილების გაზიარების მიზნით ამოვარჩიეთ საბაზო ორგანოები, სადაც მოეწყობა თათბირ-სემინარები, განიხილება სამსახურის სტილისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფის ექსპერიმენტები.

ასეთი ექსპერიმენტი, მაგალითად, ამჟამად მიმდინარეობს კალინინის რაიონში, სადაც უფროსი უბნის ინსპექტორების მეთაურობით შექმნილია ოთხი მიკროოპერატიული უბანი, რომელსაც კომპლექსურად პროფილაქტიკის მიზნით ემსახურება რაიონული განყოფილების ყველა სამსახურის მუშაკთა ჯგუფი. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს რაიონში დამნაშავეობამ და მართლწესრიგის დარღვევამ 46 პროცენტით იკლო.

საქალაქო და რაიგანყოფილებათა უფროსებს დავალებული აქვთ პირადად უხელმძღვანელონ და ყოველდღიურად გაკონტროლონ უბნის ინსპექტორის საქმიანობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე, როდესაც კომუნისტ ა. ღვინიანიძის ანგარიშს ისმენდნენ, სამართლიანად გვისაყვედურეს, რომ მილიციის უბნის ინსპექტორები ღრმად ვერ ფლობენ წესრიგის დამრღვევთა და დანაშაულვეთა სამყაროში მიმდინარე პროცესებს. ბევრი უბნის ინსპექტორი აქტიურად არ ებრძვის ნარკომანიას, მუქთახორობას, ლოთობას და იმათ, ვისაც უშრომელი შემოსავალი გამდიდრებს წყაროდ აქვს ქცეული.

უბნის ინსპექტორებმა თავიანთი წვლილი უნდა შეიტანონ გზას აცდენილი და ძნელად აღსაზრდელი ყმაწვილების გამოსწორებაში.

უბნის ინსპექტორმა უნდა იცოდეს, რომ ნამდვილი პროფესიონალი მხოლოდ მაშინ გახდება, თუ ვანუზრელად აიმაღლებს იდეურ-პოლიტიკურ დონეს, გაიფართოებს გონებრივ ჰორიზონტს, დახვეწავს მუშაობის კულტურას: მილიციის ორგანოებში შეუწყნარებელია ფორმალიზმი და უსულგულო დამოკიდებულება ადამიანებისადმი, უხეშობა და მომხვეჭელობა. ასეთი ფაქტები, როგორც იტყვიან, შანთით უნდა ამოვწვათ.

მთელი ჩვენი მუშაობის პრაქტიკა თვალნათლივ ადასტურებს, რომ პარტიული და საბჭოთა ორგანოების ყოველდღიური ხელმძღვანელობით და დახმარებით მილიცია წარმატებით გადაჭრის მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების რთულ პრობლემებს. საზოგადებრიობასთან მჭიდრო კავშირი იმის გარანტიას იძლევა, რომ მილიციის ორგანოებს შეუძლიათ რესპუბლიკაში სანიმუშო საზოგადებრივი წესრიგი დამყარონ.

**ვ. ჟივკოვი**
**მსარს უჭერს**

**სოფია.** მსოფლიო ბაზარი არ უნდე იქცეს რომელიმე დაჯგუფებას შორის გაყოფის ობიექტად, ისევე როგორც დაუშვებელია საქონლისა და ტექნოლოგიების ურთიერთხელსაყრელი გაცვლის გზაზე ხელოვნური დაბრკოლებების შექმნა. ეს განაცხადა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ტოდორ ჟივკოვმა, რომელიც გამოვიდა აქ ბულგარეთ-ამერიკის საშეცნიერო-ეკონომიკური საბჭოს პირველ სესიაზე.

ასეთი მიდგომა, აღნიშნა ბულგარეთის ხელმძღვანელმა, ნაკარნახევია თანამედროვე მსოფლიოს ობიექტური რეალობებით, მსოფლიო საწარმოო ძალების განვითარებით. დღეს არ არსებობს სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური სისტემების მშვიდობიანი თანაარსებობის ალტერნატივა. ამიტომ უნდა გავაფართოოთ ეკონომიკური ინტეგრაცია. საგაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ხალხებს შორის ნდობის გამმტკიცების, მშვიდობის შენარჩუნების მნიშვნელოვან ფაქტორად უნდა იქცეს.

**ევროპის**
**პარლამენტის**
**რეზოლუცია**

**სტრასბურგი.** ევროპის პარლამენტმა ხმათა დიდი უმრავლესობით მიიღო რეზოლუცია, რომლითაც მხარს უჭერს იმას, რომ საბჭოთა კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები მორიგდნენ ევროპაში ბირთვული განიარაღების საკითხში. ამ დოკუმენტს ხმა მისცა 245 პარლამენტარმა, წინააღმდეგ — მხოლოდ 18 დეპუტატმა, თერთმეტმა თავი შეიკავა.

ევროპის პარლამენტმა, რომელიც მორიგ სესიაზე შეიკრიბა, მოუწოდა დასავლეთ ევროპის ქვეყნების მთავრობებს „ერთობლივი მეცადინეობით ხელი შეუწყონ საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმების მიღწევას ევროპაში საშუალო სიშორის ყველა რაკეტისა და ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ". ევროპის პარლამენტის დეპუტატებმა აგრეთვე მხარი დაუჭირეს ტაქტიკური ბირთვული იარაღისა და ჩვეულებრივი იარაღის შემცირების შესახებ მოლაპარაკების დაწყებას.

მიღებულ დოკუმენტში ნათქვამია, რომ საჭიროა დაიღოს მორიგებანი ქიმიური იარაღის შესახებ ჟენევაში გამართული მოლაპარაკების ფარგლებში. მასში აღნიშნულია, რომ ყველაფერი უნდა იღონონ ხელშეკრულების დასადებად, რომელიც აკრძალავს ამ იარაღის შემუშავებას, წარმოებას, დაგროვებასა და ექსპორტს, აგრეთვე მისი მარაგის სრული მოსპობისათვის.

**◆ ეუო**

# მკაცრი კრიტიკა კონგრესში

**ვაშინგტონი.** ზუსტად რვა წელი გავიდა მას შემდეგ, რაც სსრ კავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ვენაში ხელი მოაწერეს სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულებას. ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ, როგორც ცნობილია, შარშან გამოაცხადა, რომ ცალმხრივად აუქმებს მის დებულებებს და, დაარღვია რა სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულებით დადგენილი ლიმიტები, მწყობრში ჩააყენა ფრთოსანი რაკეტები აეჯურვილი 131-ე, შემდეგ კი 132-ე ბ-1 სტრატეგიული ბომბდამშენი.

ადმინისტრაციის ასეთი კურსი მკაცრ კრიტიკას იწვევს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში. ბევრ კანონმდებელს, რომლებსაც შეგნებული აქვთ ბირთვული კონფრონტაციის პოლიტიკის საშიშროება, მხარეების მიერ სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულების დაცვა, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ ყოფილა რატიფიცირებული, იგი შეიარაღებისადმი კონტროლის შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ახალი მორიგების მიღწევის მნიშვნელოვან პირობად მიაჩნია. რეიგანის ადმინისტრაციის მიერ 1988 საფინანსო წლისათვის შეტანილი ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბიუჯეტის პროექტის განხილვის დროს წარმომადგენელთა პალატის წევრთა დიდმა უმრავლესობამ ხმა მისცა სამხედრო ასიგნებათა კანონპროექტში მთელი რიგი შესწორებების შეტანას, რომელთა მიზანია შეიარაღებისადმი კონტროლის შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებისათვის უფრო სასიკეთო ატმოსფეროს შექმნა. მათ შორის არის შესწორება, რომლის თანახმად ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მანამ უნდა შეასრულოს სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულების მონაცემები, სანამ მას საბჭოთა კავშირი ასრულებს. შესწორება ითვალისწინებს, რომ აიკრძალოს შეიარაღების ყოველგვარი სისტემისათვის ასიგნებათა გამოყოფა ხელშეკრულებით დადგენილი ლიმიტების გადამეტებით. და თუმცა მას წარმომადგენლთა პალატაში ხმა მისცეს არა მარტო დემოკრატმა კანონმდებლებმა, არამედ მრავალმა რესპუბლიკელმაც, სენატში რესპუბლიკელ სენატორთა ჯგუფი რესპუბლიკური უმცირესობის ლიდერის რობერტ დოლის მეთაურობით თეთრი სახლის უშუალო მითითებით დღემდე ბლოკირებას უწევს სამხედრო ასიგნებათა შესახებ კანონპროექტში ამ და სხვა შესწორებების შეტანის მეცადინეობებს, ამით ფუშავს მთლიანად სამხედრო ბიუჯეტის პროექტის განხილვასა და ხმის მიცემას.

სენატის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარეს კლეიბორნ პელს და შეიარაღებისადმი კონტროლის საკითხთა ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ სპეციალისტს უილიამ პროქსმაირს არაერთგზის მოუწოდებიათ სენატორებისათვის ბოლო მოუღონ „ფლიბუსტიერობას" და დაიწყონ შესწორებებისათვის ხმის მიცემა. მაგრამ საქმე დღემდე ადგილიდან არ დაძრულა.

**◆ საფრანგეთი**

# რეპრესიები აქტივისტთა წინააღმდეგ

**პარიზი.** საფრანგეთის ნაციონალიზებული საავტომობილო კომპანიის „რენოს" ადმინისტრაციამ დროებით სამუშაოს ჩამოაცილა საფრანგეთის კომპარტიის ორგანიზაციის აქტივისტი ჩარხანის გარეუბან ბულონბიიანკურის ქარხანაში. ეს განცდები მოჰყვა ქარხნის პარტიული ორგანიზაციის მდივნის კლოდ ჟაგელენს დათხოვნას. კომუნისტთა წინააღმდეგ ახლანდელი რეპრესიები ქარხანაში დაიწყო იმასთან დაკავშირებით, რომ ახლახან საწარმოში გაიმართა საპროტესტო გამოსვლები წარმოების შეკვეცის წინააღმდეგ.

ამჟამად პარიზის გარეუბნის ნანტერის სასამართლო ორგანოები განიხილავენ საკითხს კიდევ იმ ოთხი პროფკავშირული აქტივისტის წინააღმდეგ საქმის აღძვრის გამო, რომლებიც აგრეთვე ბულონ-ბიიანკურის ქარხანაში მუშაობდნენ. ისინი შარშან შემოდგომაზე დაითხოვეს შრომის საყოველთაო კონფედერაციის ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელთან ერთად. ადმინისტრაციამ ამ სანქციების მიმართა მასობრივი მანიფესტაციებისა და გაფიცვების შემდეგ, რომლებიც ქარხანაში მიეწყო სამუშაო ადგილების შემცირების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

როგორც გაზეთი „ლუმანიტე" წერს, „რენოს" ადმინისტრაცია პრაქტიკულად სულ მუდამ ეწევა ამგვარ კამპანიებს, რომლებიც მიმართულია კომპარტიისა და შრომის საყოველთაო კონფედერაციის აქტივისტთა წინააღმდეგ. იყენებს რა მის განკარგულებაში არსებულ ყველა საშუალებას, წერს გაზეთი, დირექცია აფართოებს შეტევას პროფკავშირულ თავისუფლებებზე.

„რენოს" საწარმოებში რეპრესიების პასუხად შრომის საყოველთაო კონფედერაციამ მიიღო გადაწყვეტილება 18 ივნისს პარიზში გმართოს მანიფესტაცია პროფკავშირთა და მშრომელთა უფლებების დასაცავად. იგი ეწყობა აგრეთვე ეროვნული კრების მიერ მოწონებული იმ კანონპროექტის შესწორების წინააღმდეგ, რომლის მიზანია სახელმწიფო სექტორის მშრომელთა გაფიცვის უფლების შეზღუდვა.

პარიზში გამოქვეყნებულ განცხადებაში შრომის საყოველთაო კონფედერაციის კონფედერალურმა მდივარმ მუშებსა და მოსამსახურეებს მოუწოდა მოაწყონ მანიფესტაციები ქვეყნის სხვა ქალაქებშიც. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ პროფკავშირთა უფლებებზე ახლანდელი შეტევა იმ კურსის ნაწილია, რომელსაც მთავრობა და მეწარმენი ადგენან რეალური ხელფასის დონის შემცირების, დასაქმების პრობლემის გაშწვავების, სოციალური უზრუნველყოფის სისტემის შეკვეცის მიზნით.

# კონფერენცია დამთავრდა

**პრაღა.** სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკური და სოციალური განვითარების საკითხები, მართვის გარდაქმნის, საზოგადოების შემდგომი დემოკრატიზაციის პრობლემები განიხილეს თერთმეტი მომმე ქვეყნის საზოგადებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა კონფერენციაზე, რომელმაც 17 ივნისს დაამთავრა მუშაობა ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქში.

კონფერენციის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური ქვეყნების საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ეროვნული და სამამულო ფრონტების ურთიერთმოქმედებას ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების 2000 წლამდე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კომპლექსური პროგრამის რეალიზაციასთან დაკავშირებით. მაგალითად, მეგობრობის საბჭოთა საზოგადოებები, თქვა სსრ კავშირის წარმომადგენელმა კონფერენციაზე, აქტიურ საქმიანობას ეწევიან საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ინტერნაციონალური ობიექტების მშენებლობისათვის.

სამოლოო სიტყვა წარმოთქვა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ ტ. ტრავნიჩეკმა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ კონფერენციამ შესაძლებლობა მისცათ გასცნობოდნენ სოციალისტური მშენებლობის ახალდელ ეტაპზე მომმე ქვეყნების საზოგადებრივ ორგანიზაციათა საქმიანობის დიდ გამოცდილებას.

სოციალისტური ქვეყნების საზოგადებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა შემდეგი კონფერენცია ბუქარესტში გაიმართება.

# დუშმანებს რაკეტებს ანვდიან

**ლონდონი.** ამერიკის ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ და ბრიტანეთის დაზვერვამ უზრუნველყვეს ავღანელი დუშმანებისათვის „დედამიწა-ჰაერის" კლასის ასობით რაკეტის საიდუმლო მიწოდება. ამას იუწყებოდა 17 ივნისს საქმეში კარგად ჩახედული ინგლისური „ინდეპენდენტი". გაზეთი ხაზს უსვამს, რომ საქმე ეხება „უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე განხორციელებულ ერთ-ერთ უდიდეს საიდუმლო ოპერაციას".

მისი მიზანი იყო დუშმანებისათვის მიეწოდებინათ „ბლოუპაიპის" რაკეტები, რომლებსაც აწყობრმოს ბრიტანეთის მთავრობის კონტროლს დაკვემდებარებული კომპანია „შორტ ბრაზერს ენდ ჰარლენდი". „შორტ ბრაზერსს" „ბლოუპაიპის" 300 რაკეტისა და დიდძალი გასაშვები დანადგარის დამზადების შეკვეთა რამდენიმე მილიონი გირვანქა სტერლინგი დაუჯდა, მაგრამ მისთვის მნიშვნელოვანი მოგების წყარო გახდა. როგორც პუბლიკაცია მოწმობს, ოპერაცია დაიწყო 1985 წლის დამლევს. კვალის დაფარვის მიზნით, ამერიკელი და ინგლისელი „ნაბდისა და ხანჯლის რაინდები" ამ შეკვეთებს მესამე ქვეყნების მეშვეობით ახორციელებდნენ.

ამ ბინძურ აქციაში ყველაზე აქტიური როლი შეასრულა ბრიტანეთის დაზვერვამ — სიკრეტ ინტელიჯენს სერვისმა. მან მჭიდრო კავშირურთიერთობა დაამყარა ავღანელ კონტრრევოლუციონერთა დაჯგუფებასთან — ეგრეთწოდებულ „ავღანეთის ისლამურ პარტიასთან".

„ინდეპენდენტის" მხილება მოწმობს, რომ იხგლისი ქვლევინდებულად უმორჩილებს თავის საგარეო-პოლიტიკურ კურსს ვაშინგტონის ნებას, ნეოგლობალიზმის ამერიკისეული პოლიტიკის თანამონაწილის, ავღანეთის რეაქციისათვის ზოგავ-ელვტის იარაღის მიმწოდებლის როლში გვევლინება. ამის შედეგად მას ეკისრება კიდეც პასუხისმგებლობა მშვიდობიანი ავღანელების დაღუპვისათვის, რომლებიც დუშმანთა ტერორმა შეიწირა.

**● იუგოსლავია**

# ებრძვიან ალკოჰოლიზმს

**ბელგრადი.** რა უჯდება სახელმწიფოს ავარიები, საწარმოო ტრავმები, ლოთობით გამოწვეული მოცდენები? იუგოსლავიის პროფკავშირთა კავშირის სოციალისტური პოლიტიკის კომისიამ გამოიანგარიშა: სპირტიანი სასმელების ზედმეტი სმის შედეგების აღმოფხვრისათვის დანაზარჯები სამჯერ აღემატება ალკოჰოლიანი სასმელების გაყიდვით მიღებულ შემოსავალს.

როგორც ტანიუგის სააგენტო იუწყება, კომისიის სხდომაზე მოყვანილ იმის მონაცემები, რომ სპირტიანი სასმელების გამოყენება ერთ სულ მოსახლეზე ქვეყანაში ათჯერ გაიზარდა პირველ ომისშემდგომ წლებთან შედარებით. გამოანგარიშებულია, რომ ალკოჰოლი წელიწადში საშუალოდ ორ თვეს არ მუშაობს, უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, სამუშაოს აცდენს. სპირტიანი სასმელების მოყვარულნი სიცოცხლეს 15 წლით იმოკლებენ. ალკოჰოლიკთა რიცხვი იზრდება ახალგაზრდობას შორის. მათს მკურნალობას ორჯერ მეტი დრო სჭირდება, ვიდრე სხვა ავადმყოფს. ყოველწლიურად იუგოსლავიის საავადმყოფოებში წვება ღვიძლის ციროზით დაავადებული ათი ათასამდე კაცი.

პროფკავშირული კომისიის წევრმა ივანე ტულევსკიმ იუგოსლავიაში ალკოჰოლიზმისადმი დამოკიდებულებას ორპირული უწოდა. „ერთი მხრივ, ყოველნაირად ვუწევთ პროპაგანდას აღმზრდელობითს ღონისძიებებს, მეორე მხრივ, სპირტიანი სასმელები ყველასათვის ხელმისაწვდომია და ყველგან იყიდება. დროა, ბოლო მოვუღოთ ამ საშიშ სოციალურ სენს", — თქვა მან.

შემთხვევითი როდია, რომ იუგოსლავიის პროფკავშირთა კავშირის სამჭოს პრეზიდიუმის ერთ-ერთი უაზლოესი სხდომა ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემებს მიეძღვნება.

**◆ ჩინეთი**

# წყალდიდობა და ხანძრები

**პეკინი.** როგორც სინჰუას საგენტო იუწყება, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ბევრ რაიონს თავს დაატყდა კოკისპირული წვიმები, რასაც წყალდიდობა მოჰყვა. კერძოდ, შენსის პროვინციაში, წყალდიდობის შედეგად დაიღუპა 132 კაცი, დაიწვა ათასობით სახლი, მრავალი კილომეტრი გზა და სხვადასხვა ნაგებობა, წყალეკა ყანები. მთიდან მოვარდნილმა ნიაღვარმა მთლიანად მოსპო 264 სოფელი. სულ სტიქიური უბედურებით დაზარალდა დაახლოებით მილიონი კაცი. მსხვერპლია განსუს პროვინციაშიც.

საგენტო აღნიშნავს, რომ სამხრეთ ჩინეთის გუანსი-ჭუანის ავტონომიური რაიონის ზოგიერთ მაზრაში დღე-ღამის მანძილზე მოვიდა 280 მილიმეტრი ნალექი. მაზრის ბევრი ქალაქის ქუჩები ორმეტრიანმა წყალმა დაფარა. წყალდიდობის შედეგად ავტონომიურ რაიონში დაიღუპა ექვსი კაცი, დაინგრა და დაიტბორა სახლები, სკოლები. დაზარალებულებს ეხმარებიან.

**პეკინი.** როგორც სინჰუას საგენტო იუწყება, დიდი ჰინგანისა და შიდა მონღოლეთის ავტონომიური რაიონის ჩრდილოეთი ნაწილის მთელი რიგი ადგილების ტყეებში გაჩნდა ახალი ხანძრები, რომლებმაც უკვე დაახლოებით 800 ჰექტარი ტყე მოიცვა.

საგენტო აღნიშნავს, რომ ხანძრის კერებისაკენ გაგზავნეს ხანძართან ბრძოლის სამუალებებით აღჭურვილი 200-მდე მეხანძრე. ჩინელ სპეციალისტთა თვდაპირველი ანალიზის თანახმად, ხანძრების ძირითადი მიზეზი მეხი გახდა.

# ავიაკატასტროფა

**პეკინი.** ჩინეთის სამოქალაქო ავიაციის მთავარი სამმართველოს „ბოინგ-737" სამგზავრო თვითმფრინავი ფუჯოუს აეროდრომზე დაჯდომის დროს ჩინეთის სამხედრო-საჰაერო ძალების ავიადამანადგურებელს შეეჯახა.

როგორც სინჰუას საგენტო იუწყება, „ბოინგ-737" თვითმფრინავის დაზიანების მიუხედავად, მფრინავმა მოახერხა აეროდრომზე დაჯდომა. შეჯახების შედეგად ჩინეთის სამოქალაქო ავიაციის მთავარი სამმართველოს თვითმფრინავის ერთი მგზავრი დაშავდა, იგი ჰოსპიტალში მოათავსეს, ხოლო ავიადამანადგურებლის მფრინავი დაიღუპა. ახლა იძიებენ თვითმფრინავეების შეჯახების მიზეზებს.



# ᲡᲡᲠ ᲙᲐᲨᲘᲠᲘ Ც

# ᲑᲣᲜᲔᲑᲐ—ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲙᲐᲠᲘ

**ᲩᲕᲔᲜ ᲑᲣᲜᲔᲑᲐᲨᲘ ᲕᲐᲠᲗ—ᲘᲒᲘ ᲩᲕᲔᲜᲨᲘᲐ, ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲜᲘᲪ ᲛᲘᲡᲜᲘ ᲕᲐᲠᲗ ᲓᲐ ᲛᲙᲕᲓᲐᲠᲜᲘᲪ**

ᲕᲐᲟᲐ-ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐ

**25**

**ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ** იჩენენ უდიდეს სიფიზლეს და ორგანიზებულობას, რათა დროულად განვეჭვრიტოთ და თავიდან ავიცილოთ მოსალოდნელი სტიქიური უბედურებანი. კოდორის, ენგურის, ცხენისწყლის, რიონის, ჭოროხის, მტკვრის, ლიახვის, ქსნის, ხრამის, არაგვის, ალაზნის და სხვა მდინარეთა აუზებში შექმნილ წყალდიდობებს და ღვარცოფულ მოვლენებს პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები, მთელი მოსახლეობა ერთსულოვნებას, შემართებას და მძლავრ ტექნიკას უპირისპირებენ...

ამ ვითარებაში ღვარცოფის თუ წყალდიდობის ბუნების, წარმოშობის მიზეზებისა და საქართველოში მათთან დაკავშირებული ყოველი მნიშვნელოვანი ფაქტისა თუ შემთხვევის ცოდნა და გათვალისწინება აუცილებელია. ჩვენი ავტორებიც სწორედ სტიქიასთან დაკავშირებულ აქტუალურ პრობლემებს განიხილავენ.

# ᲡᲢᲘᲥᲘᲐ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ, ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ...

## ᲬᲧᲐᲚᲓᲘᲓᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ

**ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲗᲐ** ნაპირებზე მცხოვრები მოსახლეობა უხსოვარი დროიდან მოყოლებული წყალდიდობებთან უთანასწორო ბრძოლას ეწეოდა. ამ სტიქიურ უბედურებას დღესაც აურაცხელი ზარალი მოაქვს ადამიანისათვის და ხშირად მის სიცოცხლესაც იწირავს.

ოფიციალური ცნობებით, აზიის ქვეყნებში ყოველწლიურად წყალდიდობა 4 მილიონ ჰექტარ ნათესებს ანადგურებს, ხოლო დაზარალებულთა რიცხვი 17 მილიონს აღწევს. წყალდიდობის საშიშროება ექმნება ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქების 40 პროცენტს და 14 მილიონ ჰექტარ მიწის ფართობს...

ხშირია ძლიერი წყალდიდობები საბჭოთა კავშირში (შორეული აღმოსავლეთი, ციმბირი, შუა აზია, კავკასია, კარპატები) და ევროპის სოციალისტურ ქვეყნებში (რუმინეთი, უნგრეთი, იუგოსლავია, ბულგარეთი). მაგალითად, 1970 წლის წყალდიდობამ რუმინეთში 800 დასახლებული პუნქტი დატბორა, დიდი ზიანი მიაყენა იუგოსლავიის, უნგრეთისა და ბულგარეთის სახალხო მეურნეობას. ამასთან დაკავშირებით შემუშავდა ფართო მასშტაბის კომპლექსური ღონისძიებები და მათ შორის წყალსაცავების მშენებლობის გეგმა.

ქართველი კაციც, ბუნებრივია, საუკუნეთა განმავლობაში ებრძოდა სტიქიას, რომელიც ანადგურებდა მის სახლსა და ქონებას, ყანებსა და გზებს. მაგალითად, გასულ საუკუნეში აღრიცხულია რიონისა (1842, 1895 წლებში) და მტკვრის (1839, 1864, 1893, 1895) დიდი წყალდიდობები. აღსანიშნავია, რომ 1839 წლის წყალდიდობისას ქ. თბილისში მეტეხის ხიდთან წყლის დონეს 9-10 მეტრით აუწევია და განსაკუთრებით დიდი ზარალი მოსვლია რიყეზე მცხოვრებ მოსახლეობას, ქალაქის მეურნეობას.

მიმდინარე საუკუნეში აღსანიშნავია 1911, 1922, 1982, 1983, 1987 წლების წყალდიდობები ქობულეთში, 1978 წლისა აჭარაში, 1968 წლის 19 აპრილისა მტკვრის ბორჯომ-თბილისის მონაკვეთში, როდესაც თბილისში წყლის ხარჯმა წამში 2450 კუბურ მეტრს მიაღწია, დატბორა მდინარის მიმდებარე ტერიტორია და 1700 ოჯახი უსახლკაროდ დატოვა...

საქართველოს ტერიტორიის ორი მესამედი მთაგორიანია, რაც ხელს უწყობს სტიქიურ მოვლენათა განვითარებას და აძნელებს მათთან ბრძოლას. ნალექების ნახევარზე მეტი სწორედ მთის კალთებზე და ხეობებში გროვდება და სწრაფად ჩამოედინება. დიდი დახრილობის გამო წყლის სიჩქარე მატულობს და მისი დამანგრეველი ძალა თანდათან ძლიერდება. ბარში გამოსული წყალი ფართოდ იშლება და კალაპოტიდან გადმოდის...

მიმდინარე წლის იანვარ-თებერვლის სტიქიურმა მოვლენებმა — წყალდიდობებმა, ზვავებმა, მეწყრებმა, ღვარცოფებმა აურაცხელი უბედურება დაატეხა თავს რესპუბლიკას.

სტიქიის მიერ გამოწვეული მძიმე შედეგების ლიკვიდაციოდ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობით უდიდესი მუშაობაა განხორციელებული — ქმედითი დახმარება გაეწია დასავლეთ საქართველოს, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის, სამხრეთ ოსეთის დაზარალებულ მოსახლეობას. ასობით ოჯახი, ათასობით ადამიანი დასახლდა ახალ ადგილებზე. პრობლემას საგანგებოდ მიეძღვნა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმი...

წყალდიდობასთან ბრძოლა ჩვეულებრივ ისეთი ტრადიციული მარეგულირებელი საშუალებებით წარმოებს, როგორიცაა მდინარეთა აუზების გატყევება, გრძივი ჯებირები და საყრდენი კედლები, ბეტონის ბლოკები, ნაკადმიმართველი დეზები, კალაპოტის გაწმენდა-გაღრმავება და სხვა, მაგრამ ყველაზე უფრო რადიკალური ღონისძიებაა მდინარული ჩამონადენის დარეგულირება წყალსაცავების მეშვეობით.

ჩვენში დღეისათვის აგებულია ენგურის (1093 მილიონი კუბური მეტრი მოცულობის), ენგალის (520), თბილისის (308), სიონის (325), წალკის (312), გალის (145) და სხვა წყალსაცავები. ისინი გარკვეულ როლს ასრულებენ მდინარეთა ჩამონადენის დარეგულირებასა და, კერძოდ, წყალდიდობასთან ბრძოლის საქმეში, მაგრამ მთელი რესპუბლიკისათვის ეს, ცხადია, არ არის საკმარისი.

საქართველოში არსებული ყველა წყალსაცავის საერთო მოცულობა 3,0 მილიარდი კუბური მეტრია. აქედან სასარგებლო მოცულობა დაახლოებით ორ მესამედს უდრის. ეს ჩვენი წყალუხვი მდინარეების საშუალო წლიური ჩამონადენის მხოლოდ 2,2 პროცენტს შეადგენს, მაშინ, როდესაც განვითარებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 20-30 პროცენტამდე აღწევს. რა თქმა უნდა, საქართველოს 26 ათასი მდინარიდან ყველას ვერ ავლაგმავთ, მაგრამ მათი ძირითადი ნაწილი შეიძლება წყალდიდობის თვალსაზრისით უვნებელვყოთ და ამავე დროს გამოვიყენოთ ამ მდინარეთა უდიდესი ენერგეტიკული და საირიგაციო პოტენციალი.

ამჟამად, წყალდიდობათა უვნებელსაყოფად, სტიქიურ უბედურებებთან ბრძოლის მუდმივმოქმედი კომისიის მითითებით, ენგურჰესისა და ჟინვალჰესის წყალსაცავები წყლის ჭარბი მარაგის დასაგროვებლად ეფექტიანად იქნება გამოყენებული.

ამავე დროს, დაურეგულირებელი მდინარეების გამო საშიშროება არსებობს და ამიტომ ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა მინიმუმამდე შევამციროთ მოსალოდნელი ზარალი, სათანადო პროგნოზის შემთხვევაში საშიში ზონებიდან გამოვიყვანოთ მოსახლეობა, პირუტყვი, გამოვიტანოთ ტექნიკური საშუალებები, დოკუმენტი.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მდინარე მტკვრის ჭალაპატის გამტარიანობას თბილისის ფარგლებში. აქ არსებული სანაპირო ქედები აგებულია იმ ვარაუდით, რომ გაატაროს 1700 კუბური მეტრი წყალი ყოველ წამში, მაგრამ მდინარის კალაპოტში 1968 წლის წყალდიდობის შემდეგ გაჩნდა კუნძულები, ეს კი ამცირებს მის გამტარუნარიანობას. ამიტომ საჭიროა დროულად განხორციელდეს კალაპოტის გაწმენდის ღონისძიებანი...

ასევე საშური საქმეა არსებული ჰიდრომეტეოროლოგიურ დაკვირვებათა სამსახურის მოდერნიზაცია; კერძოდ, ჰიდრომეტრიული დაკვირვებების, ინფორმაციის გადაცემის და დამუშავების ავტომატიზაცია, როგორც ეს არის მოწიფული ქვეყნებში. დროული და სამედო პროგნოზი კი ბუნებადაცვითი სამუშაოების სწორად განხორციელების გარანტიაა.

**ᲒᲘᲕᲘ ᲡᲕᲐᲜᲘᲫᲔ,**
**ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიების წევრ-კორესპონდენტი.**

## ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲣᲛᲐᲠᲢᲔᲑᲣᲚᲘ

**ᲗᲐᲛᲐᲛᲐᲓ** შეიძლება ითქვას, ჩვენში ადამიანს და ბუნების ყველაზე მრისხანე მტერია ისეთი სტიქიური გეომორფოლოგიური პროცესები, როგორიცაა ღვარცოფი, მეწყერი, კლდეზვავი, თოვლზვავი, დელუცია (სიბრტყითი გადარეცხვა) და სხვ. ამ პროცესებიდან ამჟერად მკითხველის ყურადღებას ღვარცოფზე გავამახვილებთ.

ღვარცოფი უწოდა ქართველმა კაცმა მთის მდინარის უეცარ ძლიერ ადიდებას და ამით სრულყოფილად გამოხატა განსაკუთრებული გეომორფოლოგიური, ჰიდროკლიმატური და ლითოლოგიური პირობები, უპირატესად, კოკისპირული წვიმის დროს, ზოგჯერ თოვლისა და ყინულის სწრაფად დნობის ან შეგუბებული ხეობის ზღუდის განგრევის შემთხვევაში, რომლის მოქმედება დროის მცირე მონაკვეთში ხდება. ღვარცოფული ნაკადი დიდძალ მყარ მასალას შეიცავს (ზოგჯერ 90 პროცენტამდე); აქვს დიდი სისწრაფე და დამანგრეველი ძალა...

საქართველოში ღვარცოფი, როგორც აგრესიული სტიქიური პროცესი, მეტად ინტენსიურად ვლინდება კავკასიონის, აჭარა-იმერეთის, თრიალეთისა და გომბორის ქედების ფერდობების ძირობებზე. ისე კი დიდი თუ პატარა სიძლიერის ღვარცოფი საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში გვხვდება. მათ ბევრჯერ წუოლეკავთ ქალაქებისა და სოფლების ცალკეული უბნები, დაუნგრევიათ და სქელი ტალახით დაუფარავთ სახლები თუ სხვა ნაგებობანი, აგრეთვე მრავალი ასეული ჰექტარი სახნავი-სათიბი და საძოვარი, ზვრები, ციტრუსების ბაღები და ჩაის პლანტაციები, ბაღ-ბოსტნები, ტყეები, გზატკეცილები და რკინიგზები, არხები; მათი მსხვერპლი გამხდარა ათობით ადამიანი, დიდძალი პირუტყვი.

ამგვარი თვისებების მდინარეებიდან შეიძლება დაკასპიელთა დურუჯი, სტორი, ორვილი, დიდრიყე, თელავისრიყე, ცივისწყალი (ალისანი), თვალთხევი, არაგვი, ლიახვი, ყვირილა, ცხენისწყალი, ლასკადური, რიონი და სხვ.

ახლა, როცა კავკასიონის სამხრეთულ ზეობებში ღვარცოფების დიდი საშიშროებაა, მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ღვარცოფსაწინააღმდეგო ღონისძიებანი, რათა თავიდან ავიცილოთ ადამიანთა მსხვერპლი და მატერიალური ზარალი; ამავე დროს გავითვალისწინოთ წარსულის ფაქტები, გაკვეთილები, რომელიც სტიქიის უშუალო მომსწრე სწავლულთა თავის დროზე აქვთ აღწერილი და გამოკვლეული.

დურუჯის მძლავრმა ღვარცოფმა უკანასკნელი 90 წლის მანძილზე 14-ჯერ გაიარა ყვარელზე. მან კოლოსალური ზარალთან ერთად, ზოგიერთის გაანგარიშებით, 135 კაცი იმსხვერპლა...

თელავისრიყემ მრავალჯერ დასცა თავზარი თელაველებს. ასე იყო 1977 წლის 14 ივნისსაც — მძლავრმა ღვარცოფმა სამ საათში თელავსა და მის მიდამოებს 15 მილიონი მანეთის ზარალი მიაყენა, ხოლო ცივისწყალმა იმავე ღამეს მარტო წინანდლის სანატორიუმ „ალაზანს" 600 ათასი მანეთის ზარალი...

ამ დღეებში კი არაგვის და მისი მარჯვენა შენაკადების მძლავრმა ღვარცოფებმა დიდი ზარალი მიაყენა მოსახლეობას, განსაკუთრებით კი საქართველოს სამხედრო გზას, რომელიც ისე დაანგრია, რომ ერთხანს მოძრაობაც კი შეწყდა...

ლიახვის ღვარცოფებს არაერთხელ მიუყენებია დიდი ზარალი გორის ეკის სოფლებისათვის, განსაკუთრებით კი ქ. გორისათვის. ამჟამად გორის დასავლეთ ნაწილს ღვარცოფსაშიშროება მოელის.

საყურადღებოა, რომ ზოგჯერ თბილისსაც კი შეუტევს ხოლმე მძლავრი ღვარცოფული ნაკადები, რასაც ქალაქის აღმოსავლეთის და დასავლეთის ქედების ფერდობებზე მშრალხევებში წარმოშობილი ღვარცოფული ნაკადები იწვევენ. ძლიერი ღვარცოფები საბჭოთა მეურნეობას — 600 ათასი მანეთის ზარალი...

ამ დღეებში ეს არაგვის და მისი მარჯვენა შენაკადების მძლავრმა ღვარცოფებმა დიდი ზარალი მიაყენა მოსახლეობას, განსაკუთრებით კი საქართველოს სამხედრო გზას, რომელიც ისე დაანგრია, რომ ერთხანს მოძრაობაც კი შეწყდა...



**ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ:** ღვარცოფისგან განადგურებული ტყე.

ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

## ᲦᲕᲐᲠᲪᲝᲤᲡ ᲔᲡᲮᲚᲝᲚᲝᲓ ᲔᲠᲗᲝᲒᲚᲘᲕᲐᲓ ᲓᲐᲕᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲗᲡ

ღვარცოფული პროცესების პროგნოზული შეფასება მეტად რთული და მრავალწახნაგოვანია. იგი მოითხოვს ღვარცოფსაშიში მდინარის აუზში დეტალურ სავალე-კვლევით სამუშაოებს; ამ საკითხის სირთულეს განაპირობა ის ფაქტი, რომ სტიქიური გეომორფოლოგიური პროცესებისადმი მიძღვნილი ნაშრომების უმავლესობას პროგნოზული შეფასება არ მოეპოვება, მის გარეშე კი მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების სწორად შემუშავება შეუძლებელია. ჩვენში ღვარცოფწარმომშობი ფაქტორების თავისებურებით თუ ვიმსჯელებთ, კავკასიონის სწრაფი აზვავება (11-14 მმ წელიწადში), ტყეებისა და საძოვრების არასახარბიელო მდგომარეობა, მეწყერული, დელუციური, ეროზიული პროცესების გაძლიერება, საღვარცოფე კერების გაფართოება, ატმოსფერული ნალექების მომატება და სხვა, შეიძლება დავასკვნათ, რომ მომავალში ღვარცოფები კიდევ უფრო გაძლიერდება!

ამიტომ ყველა ზემოხსენებულს, ჩვენი აზრით, საქართველოს ადმინისტრაციული რაიონების ხელმძღვანელობამ ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციონ, გაანალიზონ და წინასწარ დასახონ მათი თავიდან აცილების კომპლექსური ღონისძიებანი.

ამ მხრივ ქართულ გეოგრაფიულ მეცნიერებას გარკვეული გამოცდილება და ტრადიცია აქვს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში ღვარცოფების კვლევა 1950-იანი წლებიდან იწყება. მუშავდება თემა „თანამედროვე გეომორფოლოგიური პროცესები და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები", რასთან დაკავშირებითაც მრავალი ნაშრომი მიეძღვნა ეროზიული, აკუმულაციური, ღვარცოფული, მეწყერული, კლდეზვავების, კარსტული პროცესების კვლევას და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების დამუშავებას.

გეოგრაფიის ინსტიტუტმა 1983 წლიდან, ჩვენს რესპუბლიკაში პირველმა დაიწყო კვლევითი მუშაობა თემაზე — „სტიქიური გეომორფოლოგიური პროცესები და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები", იმავე წელს ახმეტის რაიონში, სოფ. ზემო ხოდაშენში გაიხსნა „კახეთის სტიქიური გეომორფოლოგიური პროცესების ექსპერიმენტული სტაციონარი". კვლევითი მუშაობის ძირითადი საგანია ღვარცოფი, მეწყერი, კლდეზვავი, ეროზია, აკუმულაცია. ინსტიტუტის თანამედროვე გეომორფოლოგიური პროცესების ლაბორატორიის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის თემატიკა უშუალოდ იმ საკითხებს ეხმიანება, რომლითა მიმართაც საგანგებოდ არის ყურადღება გამახვილებული საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 7 მარტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 26 ივლისის დადგენილებებში — „ღვარცოფების, თოვლზვავების, მეწყერებისა და კლდეზვავებისაგან დასახლებული პუნქტების, საწარმოების, სხვა ობიექტებისა და მიწების დაცვის გაუმჯობესების ღონისძიებების შესახებ". მრავალი ჩვენი ნაშრომიდან ზოგი საპროექტო დაწესებულებათა ხელშეწყობით დაინერგა კიდეც.

ამჟამად საქართველოში სტიქიური გეომორფოლოგიური პროცესები ძალზე ინტენსიურად მიმდინარეობს. როგორც სხვა პროცესების, ისე ღვარცოფების გამოკვლევა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები, როგორც სამეცნიერო ნაშრომებში მრავალგზის მაქვს აღნიშნული, სამწუხაროდ, სათანადოდ არ ხორციელდება, იგი ხშირად ცალმხრივად განიხილება, ამიტომ ჩატარებულ ღონისძიებებს სასურველი შედეგი არ მოსდევს.

საკვირველია, მაგრამ ფაქტია: ღვარცოფული მდინარეების ნაპირების გასამაგრებლად დიდძალი თანხები იხარჯება, მაგრამ ზოგან ღვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობები თავის დანიშნულებას ვერ ამართლებენ, ღვარცოფი მათ პირველი ტალღის დარტყმისთანავე ანგრევს. ასე მოხდა კახეთის მრავალ მდინარეზე (ორვილი, დიდრიყე, თელავისრიყე, ცივისწყალი, ჭერმისხევი, დურუჯი), ქართლის მდინარეებზე (არაგვი, ქსანი, ლიახვი), ქვემო სვანეთის (ლასკადურა, ხელედურა), იმერეთ-სამეგრელოს (ყვირილა, ცხენისწყალი, რიონი) და სხვაგან.

საგულისხმოა, რომ უკანასკნელ პერიოდში ღვარცოფსაწინააღმდეგო დიდი სამუშაოები ხორციელდება, და მაინც, ჩვენი აზრით, ღვარცოფული პროცესების პროგნოზული შეფასება მეტად რთული და მრავალწახნაგოვანია. იგი მოითხოვს ღვარცოფსაშიში მდინარის აუზში დეტალურ სავალე-კვლევით სამუშაოებს; ამ საკითხის სირთულეს განაპირობა ის ფაქტი, რომ სტიქიური გეომორფოლოგიური პროცესებისადმი მიძღვნილი ნაშრომების უმავლესობას პროგნოზული შეფასება არ მოეპოვება, მის გარეშე კი მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების სწორად შემუშავება შეუძლებელია. ჩვენში ღვარცოფწარმომშობი ფაქტორების თავისებურებით თუ ვიმსჯელებთ, კავკასიონის სწრაფი აზვავება (11-14 მმ წელიწადში), ტყეებისა და საძოვრების არასახარბიელო მდგომარეობა, მეწყერული, დელუციური, ეროზიული პროცესების გაძლიერება, საღვარცოფე კერების გაფართოება, ატმოსფერული ნალექების მომატება და სხვა, შეიძლება დავასკვნათ, რომ მომავალში ღვარცოფები კიდევ უფრო გაძლიერდება!

ამიტომ ყველა ზემოხსენებულს, ჩვენი აზრით, საქართველოს ადმინისტრაციული რაიონების ხელმძღვანელობამ ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციონ, გაანალიზონ და წინასწარ დასახონ მათი თავიდან აცილების კომპლექსური ღონისძიებანი.

**ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ:** სტატიის ავტორი მრავალი წლის კვლევა-ძიებით შეგროვილი მასალების საფუძველზე განიხილავს სტიქიის ერთ სახეობას — **ღვარცოფს საქართველოში და საგულისხმო რეკომენდაციებს გვთავაზობს. ამავე დროს ირკვევა, რომ რესპუბლიკაში გარემო ბუნების შესწავლის წამყვან ცენტრში — გეოგრაფიის ინსტიტუტში ღვარცოფის კვლევის, პრაქტიკულ ღონისძიებათა შეფუშავებისა და დანერგვის მასშტაბი სახურველს, ანუ გარდაქმნის მოთხოვნებს უთუოდ ჩამორჩება. თავად განსაჯეთ, ამ ინსტიტუტის თანამედროვე გეომორფოლოგიური პროცესების მცირე ლაბორატორია როგორ გასწვდება საქართველოს, ამერსა და იმერს, როცა ღვარცოფმატარებელი თუ ღვარცოფსაშიში თვისება ლამის რესპუბლიკის ყველა — 26 ათას მდინარეს ჰქონია!**

**ზემოაღნიშნული ლაბორატორიის გაზრდა-გაძლიერება და, რაც უმჯობესია, თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შეხაფერისი მძლავრი სტიქიური პროცესების ცენტრის შექმნა თვით ცხოვრებით, მიმდინარე წლის მწარე გამოცდილებით არის ნაკარნახევი. და ამ ცენტრს, ცხადია, ადგილებზე, რესპუბლიკის ტიპობრივ მხარეებში თავისი ექსპერიმენტული სტაციონარი უნდა ჰქონდეს, ხოლო რაიონებში, როგორც წესი, თუნდაც ერთი გეომორფოლოგი, ანუ დედამიწის ქცევის ურისმიმგდები უთუოდ უნდა ჰყავდეს. ამიტომ, იქნებ დრო, გადახედნოს რესპუბლიკის აგრომრეწვის რაიონების ხამმართველოებში არსებული საშტატო ნუსხა, და არა ახალი შტატი, არამედ არსებულიდან ერთი ადგილი დეეთმოს გეომორფოლოგს, სპეციალისტს, რომელიც მუდმივ მეთვალყურეობას გაუწევს სტიქიურ გეომორფოლოგიურ პროცესებს. ამგვარი ცენტრალიზირებული კონტროლისას, ვფიქრობთ, დროულად იქნება აღნუსხული და იქნებ თავიდან აცილებული მიმდინარე წელს მომხდარის მსგავსი სტიქიური უბედურებანი.**

**ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲩᲐᲜᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ,**
**ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის თანამედროვე გეომორფოლოგიური პროცესების ლაბორატორიის გამგე, გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატი.**

## ᲛᲔᲠᲗᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ —ᲪᲮᲠᲐ ᲛᲝᲡᲡᲚᲔᲜᲔᲑᲐ

**ᲣᲫᲕᲔᲚᲔᲡᲘ** დროიდან მოყოლებული ადამიანი შეუპოვრად ებრძოდა სტიქიას. ბრძოლა გრძელდება, და ამ ბრძოლაში ადამიანს თანადგომა, წარსულის გამოცდილება და მეცნიერების უახლესი მიღწევები შველის.

ამას წინათ სწორედ ამ ნიშნით წარმართა საბუნებისმეტყველო მეცნიერული ცოდნის პროპაგანდის ლექტორთა დასახმარებელი რესპუბლიკური თათბირ-სემინარი: სტიქია, ადამიანები, პრობლემები, როშელიც მოაწყეს საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" გამგეობამ და ამავე საზოგადოების თბილისის საქალაქო ორგანიზაციამ.

სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს მეცნიერთა და სპეციალისტთა ცხრა მოხსენება — გარემოს დაცვის ცოდნის პროპაგანდის მეთოდოლოგიური საკითხები; წყალდიდობა და მასთან ბრძოლა; მაღალი მთის მცენარეული საფარის თანამედროვე მდგომარეობა; ტყე და მისი მნიშვნელობა; ამინდის პროგნოზირება; ღვარცოფები და მათთან ბრძოლის ღონისძიებანი; მეწყერული და მეწყერ-კლდეზვავური კერები; სტიქია და ცხოველთა სამყარო; გარდაქმნის მოთხოვნები და ბუნებადაცვითი პროპაგანდის შესაძლებლობანი. („კომ". კორ.)

**რედაქტორი**
**გ. ბედინეიშვილი.**

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ

**ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ.** მიმდინარე მოკვადრაკე ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატის მორიგ, მეათე ტურში გათამაშების ლიდერი ჯანჯღავა ყაიმს დასჯერდა ბოლო ადგილზე მყოფ შალამბერიძესთან. სტურუას უკეთესი პოზიცია ჰქონდა ტაბატაძესთან, მაგრამ შეცდა და დამარცხდა. ეს მისი ზედიზედ მეორე წაგებაა. კრასენკოვმა მოუგო ტყებუჩავას და მეორე ადგილზე გადაინაცვლა. გიორგაძემ, რომელიც ფინიშზე დიდი ენერგიით თამაშობს, დაამარცხა მანაგაძე, წინა ტურში გადადებულ პარტიაში კი ყაიმზე შეუთანხმდა ტყებუჩავას. ხეცურიანმა მოუგო ბალათუროვს, გაფრინდაშვილმა — ჩაჩიბაიას, ეფიმოვმა — გედევანიშვილს. ხეცურიანი და გაფრინდაშვილი იხარუმენ ოსტატის ნორმის შესრულების შესაძლებლობებს. ამისათვის მათ სამი დასკვნითი პარტიიდან 2,5-2,5 ქულა უნდა დააგროვონ.

ამრიგად, შეჯიბრების დამთავრებამდე 3 ტურით ადრე 7,5 ქულით პირველ ადგილზეა ჯანჯღავა. მას სათამაშო რჩება სტურუასთან, გიორგაძესთან და კრასენკოვთან. 7 ქულით მეორე ადგილზე მყოფი კრასენკოვი ჯანჯღავას გარდა ეთამაშება მანაგაძესა და ტაბატაძეს.

## ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲝᲠᲒᲘᲢᲐ

**ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ.** გუშინ მოსკოვში გაიმართა უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეთორმეტე ტურის მატჩი ადგილობრივ „დინამოსა" და თბილისის „დინამოს" შორის. შეხვედრა დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით — 1:0.

**ᲔᲕᲠᲝ�პᲘᲡ** ჩემპიონატის მეორე შერჩევით ჯგუფში მორიგი კალენდარული მატჩი გაიმართა შვეიცარიისა და შვეიცის ფეხბურთელთა გუნდებს შორის. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1. ამ ჯგუფში 10 ქულით (12 შესაძლებლიდან) შვეიდნი ლიდერობენ. მომდევნო ადგილებზე არიან იტალიელები — 8 ქულა (10-დან), შვეიცარიელები — 4 (10-დან), პორტუგალიელები — 3 (8-დან), მალტელები — 1 (12-დან).

**ᲔᲚᲔᲜᲐᲨᲘᲠᲝᲗᲘ.** უმაღლესი ლიგის ვაჟთა ამ გუნდებმა, რომლებიც პირველი-მეექვსე ადგილებისათვის იბრძოდნენ, დაასრულეს წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატი. ოქროს მედლებს დაეუფლნენ მოსკოველი არმიელები, რომელთაც 54 ქულა დააგროვეს. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ მინსკის ასკ — 51 ქულა, მოსკოელი საავიაციო ინსტიტუტის გუნდი — 41, ზაპოროჟიელ ინდუსტრიული ინსტიტუტის კოლექტივი — 35, ჩელიაბინსკის „პოლიტიტი" — 32 და ასტრახანის „დინამო" — 27 ქულა.

**ᲠᲝᲛᲑᲝᲜᲘᲡ.** ტალინში გამართულ სოციალისტური ქვეყნების სპორტსმენთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე წარმატებით იასპარეზეს თბილისელმა სპორტსმენებმა **ვლადიმერ გაბრიჩიძემ და დავით კაჭარავამ.** ვლადიმერმა ერთეულთა თანრიგში ფინალური შეხვედრა მოუგო რიგელ ძელდეს (6:1, 2:6, 7:6) და პირველი ადგილს დაეუფლა. შედეგად კი გაბრიჩიძემ და კაჭარავამ წყვილთა შორის შეჯიბრების ფინალური მატჩი მოიგეს: მათ დაამარცხეს ესტონელთა წყვილი სორონსალი და ოიასალუ — 7:6, 6:3.

**ᲡᲘᲜᲥᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲪᲣᲠᲕᲐ.** საქართველოს ღია ჩემპიონატზე თბილისელმა ლელა მამიაურმა ზედიზედ სამი გამარჯვება მოიპოვა: იგი უძლიერესი იყო ერთეულთა, წყვილთა და ჯგუფურ ვარჯიშებში. წყვილთა ვარჯიშში მასთან ერთად ულიერესის წოდებას დაეუფლა თბილისელი ნინო გელაშვილი.

საერთო-გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიპაყრეთა თბილისის ნაკრებმა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ ქუთაისელები, მესამეზე — სომხეთის სპორტსმენები.

**ᲪᲣᲠᲕᲐ.** ბერლინში გამართულ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩემპიონატზე სეზონის საუკეთესო შედეგით გაიმარჯვა პატრიკ კიულმა. მან 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში 4 წუთი და 20,37 წამი აჩვენა.

**ᲕᲔᲚᲝᲡᲞᲝᲠᲢᲘ.** დამთავრდა მრავალდღიანი ველორბოლა „ამიერკავკასიის ტურა", რომლის საერთო დისტანცია 1200 კილომეტრს შეადგენდა. პირად ჩათვლაში ყველას აჯობა კოტიბაშვილმა კ. ბანკინმა. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთაგან საუკეთესო იყო რუსთაველი ს. კრასავცევი. იგი მეექვსე ადგილზე გამოვიდა. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს „უბიბშეველებმა. საქართველოს ველოსიპედისტები მესამე ადგილზე გამოვიდნენ.

**ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ**

19 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

**პირველი პროგრამა.** 8.00 — დილის ვარჯიში. მულტფილმი. მუსიკა. 8.30 — „ვრემია". 9.05 — მხატვრული ტელეფილმი „იგორ სპასს ძე". II და III სერია. 11.10 და 17.00 — ახალი ამბები. 17.10 — ჯეკ ლონდონის გმირები ეკრანზე. „დრო არ იცდის". II სერია. 18.30 — რატომ და რისთვის. საბავშვო გადაცემა. 19.00 — მეცნიერება და ცხოვრება. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — მულტფილმები. 20.30 — ახალი ამბები. 20.35 — თუ გინდა ჯანმრთელი იყო. 20.50 — „იგორ სპასს ძე". III სერია. 22.00 — „ვრემია". 22.40 — შეხვედრა თქვენი თხოვნით. კინორეჟისორი ე. მატვეევი. 23.45 — დღეს მსოფლიოში. 24.00 — უკრავს ანსამბლი „გუნეში".

**მეორე პროგრამა.** 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20 — დოკუმენტური ტელეფილმები. 9.45 — „ოქროს კარიბჭე". 10.35 — მულტფილმი. 11.20 — მხატვრული ტელეფილმი „დღე პირველი, დღე უკანასკნელი". 12.25 — ინგლისური ენა. 12.55 — ფილმი — ბავშვებს. „ტრუბაჩოვის რაზმი იბრძვის". 14.25 — ფილმ-კონცერტი. 15.30 და 19.00 — ახალი ამბები. 19.15 — თანამეგობრობა. 19.45 — ხალხური მელოდიები. 20.00 — მოგზაურთა კლუბი. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარა ბო!". 21.15 — „როგორ ვიცვამთ?". 21.45 — პატარა კონცერტი. 22.00 — „ვრემია". 22.40 — სათავგადასავლო ფილმის ეკრანი. „მოწმე დაიკარგა". 0.05 — ახალი 